

ბუნებრივი რესურსების ქარტია

სარჩევი

შესავალი.....	2
ქარტიის სტრუქტურა.....	2
წიაღისეულის მართვის შიდა ფონდები.....	5
I პრინციპი - წიაღისეულის მართვამ ინკლუზიური და ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიით, სუფთა სამართლებრივი ჩარჩოებითა და კომპეტენტური ინსტიტუტებით მოქალაქეებს უდიდესი სარგებელი უნდა მოუტანოს.....	5
II პრინციპი - წიაღისეულის მართვა საჭიროებს გადაწყვეტილების მიმღებების პასუხისმგებლობის დაყენებას ინფორმირებული საზოგადოების წინაშე	9
აღმოჩენა და მოპოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება	13
III პრინციპი - ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს ეფექტური მოკვლევა და საწარმოო საქმიანობა და უფლებები გამჭვირვალედ გაანაწილოს	13

შესავალი

არაგანახლებადი წიაღისეულით მდიდარი ქვეყნები დგანან როგორც შესაძლებლობების ისე გამოწვევების წინაშე. წიაღისეულის სწორად გამოყენებით უფრო დიდი კეთილდღეობა იქმნება ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის. მისმა არასწორმა გამოყენებამ ან გაფლანგვამ კი შესაძლოა, გამოიწვიოს ეკონომიკური არასტაბილურობა, სოციალური კონფლიქტი და განგრძობადი ზიანი მიაყენოს გარემოს. ბუნებრივი წიაღისეულის ქარტია მთავრობებს, საზოგადოებებსა და საერთაშორისო თანამეგობრობას სთავაზობს პოლიტიკური კურსის ვარიანტებსა და პრაქტიკულ რჩევებს, რათა მათ უკეთ მართონ წიაღისეული სიმდიდრე. ასეთი რჩევები უზრუნველყოფენ, რომ წიაღისეულით მდიდარი ქვეყნები მართონ არ იდგნენ მსგავსი გამოწვევების წინაშე. პირიქით, ქვეყნებს შეეძლება ყურადღება მიაპყრონ დაგროვებულ გამოცდილებას, რათა ისწავლონ ისტორიიდან და აირიდონ წარსულის შეცდომები.

ქარტია არ არის ზუსტი რეცეპტი. სანაცვლოდ იგი იკვლევს მიდგომებს, რომლებიც წარმატებულმა ქვეყნებმა სხვადასხვა კონტექსტებსა და კომბინაციებში გამოიყენეს, რათა რეალობად ექციათ ბუნებრივი წიაღისეულის სიმდიდრის განვითარების პოტენციალი. იმისათვის რომ ქვეყნებმა სარგებელი მიიღონ წიაღისეულის სიმდიდრით, მოქალაქეებმა და მათმა ხელისუფლებამ რიგი ფართო სპექტრის გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ. პოლიტიკური კურსების დასაწერად მთავრობებმა თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში უნდა მიიღონ კომპლექსური ვარიანტები და სავაჭრო გაქვითვები (trade-offs) და შეიმუშაონ სტრატეგიები. ქარტია შეიცავს 12 პრინციპს, რომლებიც დაეხმარებიან მთავრობებს გადაწყვეტილებების მიღებაში.

პირველი 10 პრინციპი შეიცავს რჩევებს, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანამ და მისმა მთავრობამ ბუნებრივი წიაღისეული. ბოლო ორი პრინციპი ეხება საერთაშორისო მოქმედ პირებს, მომპოვებელ კომპანიებსა და საერთაშორისო მართვამე პასუხისმგებელ პირებს. ქარტია ყველა 12 პრინციპს იმიტომ მოიცავს, რომ მომპოვებლური სიმდიდრის მდგრად კეთილდღეობად გარდასაქმნელად საჭიროა მთავრობის მიერ სწორი ჯაჭვური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და დანერგვა მოქალაქეებისა და საერთაშორისო საზოგადოების დახმარებითა და ზედამხედველობით. ამ ჯაჭვის ყველა რგოლი ძლიერი უნდა იყოს, იმისათვის რომ ქვეყანამ ნამდვილად შეძლოს მოპოვებელი წიაღისეული სიმდიდრით სარგებლის მიღება.

ქარტიის სტრუქტურა

ქარტიის პრინციპები დაყოფილია სამ ჯგუფად: წიაღისეულის მართვის ადგილობრივი ფონდები და ჯაჭვური ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც საჭიროა წიაღისეულის წარმატებით სამართავად და წიაღისეულის მართვის საერთაშორისო ფონდები.

თითოეულ არეალში მთავრობის ქმედების კოორდინირებულობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა მოითხოვს ორი ყოვლის მომცველი საკითხის, ქარტიის პირველი ორი პრინციპის გათვალისწინებას. პირველი, ქარტია მოუწოდებს ისეთი სტრატეგიის დანერგვისაკენ და პოლიტიკის გატარებისაკენ, რომლებიც მოიცავენ წიაღისეულის მართვისათვის საჭირო ყველა პროცესს, მათ შორის ამ სტრატეგიით მართულ ამომწურავ ჩარჩო წესებსა და

ინსტიტუტებს. აღნიშნულს მოიცავს 1-ლი პრინციპი. მეორე, არ არსებობს წესების დაცვის გარანტია ან იმის უზრუნველყოფა, რომ ქმედით უნარიანი ინსტიტუტები ქვეყნის სასარგებლოდ იმუშავებენ. შესაბამისად, საჭიროა ძლიერი ანგარიშვალდებულება. აღნიშნული ხშირად პრობლემურია წიაღისეულის მოპოვების შემთხვევებში, სადაც ქმედებების დაფარვა მარტივია. ძალიან ხშირად არ ხდება მთავრობის წევრების პასუხისმგებლობის დაყენება, მიუხედავად იმისა რომ სხვა მხრივ წიაღისეულის მართვის სისტემები კარგად არის ორგანიზებული. მე-2 პრინციპი ზემოხსენებულს შეეხება. ამ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის შემდგომ ქართია ეხება მოპოვებისა და მდგრადი განვითარებისათვის შემოსავლების გამოყენების საკითხებს. მე-3-დან მე-10 პრინციპის ჩათვლით თითოეული მიმოიხილავს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების სფეროებს. ისინი ორგანიზებულნი არიან „ეკონომიკური გადაწყვეტილების ჯაჭვში“. ეს არის გადაწყვეტილებების სერია, რომლებიც მთავრობამ უნდა მიიღოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოპოვებითი წიაღისეულის სიმდიდრის ღირებულება გარდაიქმნა მოქალაქეთა მდგრად კეთილდღეობაში. ისინი წარმოდგენილი არიან ხაზოვნად: ყველაფერი იწყება მოკვლევით და აღმოჩენით; ამას მოყვება მოპოვებასთან დაკავშირებით ქვეყნისთვის კარგი გარიგების გაფორმება; შემდგომ შემოსავლების მართვა; და ბოლოს გრძელვადიანი შემოსავლის მდგრადი ინვესტიცია. თითოეულ პრინციპში მოცემული საკითხები უნდა განიხილებოდეს სხვა ყველა პრინციპთან ერთობლიობაში, თითოეულ პოლიტიკურ სფეროში არსებული თანამიმდევრულობისთვის, სავაჭრო გაქვითვებისა და სხვა ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი გამონკვევების გათვალისწინებით. ქართის დოკუმენტი მოიცავს იტალიკიზირებულ (დახრილად ნაბეჭდ) მითითებებს ქართის შესაბამის ნაწილებზე რათა მკითხველი მარტივად გაყვეს ამ მითითებებს.

პირველი ნაბიჯი ამ ეკონომიკური გადაწყვეტილებების ჯაჭვში მოიცავს მოპოვებისა და წარმოების უფლებების განაწილებასა და მოპოვების ნახალისებას. აღნიშნული გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას იმის თაობაზე წარმოადგენს თუ არა მოპოვება ქვეყნისთვის საუკეთესო კურსს; ზოგ შემთხვევებში ეს შესაძლოა ასე არ იყოს. მოპოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, მთავრობამ ყურადღებით უნდა განიხილოს გადაწყვეტილებების მთელი ჯაჭვი, მიიღოს ზომები ყველა გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორისთვის.

შემდეგი ნაბიჯი იმის უზრუნველყოფაა, რომ მოპოვება ნამდვილად მომგებიანი აღმოჩნდეს ქვეყნისთვის. ეს მოიცავს ქვეყნისთვის ღირებულების დაზღვევას საგადასახადო შემოსავლებისა და სხვა სარგებლის მეშვეობით. იგი ასევე მოიცავს ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრის სხვა ფორმებისთვის პოტენციურად მნიშვნელოვანი ბიანის შემცირებას: ეს ეხება მის ეკოსისტემას, მათ შორის ტყეებს, მდინარეებსა და მიწას, ასევე სოციალურ ქსოვილს. ამ გამონკვევას ეწოდება “კარგი გარიგების დადება” და განხორციელდა მე-4, მე-5 და მე-6 პრინციპებში. მხოლოდ მოპოვებითი სექტორის განხილვა საკმარისი არ არის, ვინაიდან მდგრად ეკონომიკურ განვითარებას მხოლოდ წიაღისეულის მოპოვება ვერ მოიტანს.

ხელისუფლებები ვალდებულნი არიან შემოსავალი ინვესტიციაში ჩადონ, რათა ახლანდელმა და მომავალმა თაობებმა ისარგებლონ სუბსიდიით. გარდა ამისა, მთავრობამ არ უნდა დაუშვას შემოსავლის ცვალებადი ხასიათის გადინებები, რამაც შესაძლოა დააზიანოს ეკონომიკა და

ბუნებრივი რესურსების ქარტია

ხელისუფლება მიიყვანოს არამიზნობრივ ხარჯებამდე. ქარტია აღნიშნულ გამონწვევას უწოდებს “შემოსავლების მართვას” და მას მე-7 და მე-8 პრინციპებში განიხილავს.

და ბოლოს, ხელისუფლებებმა მოპოვებით მიღებული შემოსავალი უნდა დააბანდონ ინვესტიციის სახით, რათა ხელი შეუწყონ ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას, რომლის შენარჩუნებაც შესაძლებელი იქნება მოპოვებითი წიაღის ამონურვის შემდგომ. ქარტია ამ საბოლოო გამონწვევას უწოდებს “მდგრად განვითარებაში ინვესტირებას” და განიხილავს მე-9 და მე-10 პრინციპებში.

შესაძლოა, კომპანიამ ყველა ეს ნაბიჯი სწორად გადადგას, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გარეშე შესაძლებელია წიაღისეულის მოპოვება ვერ აისახოს მდგრად და ყოვლის მომცველ კეთილდღეობაში. ქარტიის ბოლო ორი პრინციპი განიხილავს თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო კომპანიებმა, უცხოურმა მთავრობებმა და საერთაშორისო მართვამ პასუხისმგებელმა სხვა მოქმედმა პირებმა წიაღისეულით მდიდარი ქვეყნების მოქალაქეების დასახმარებლად. წიაღისეულით მდიდარი ქვეყნის საუკეთესო ძალისხმევაც კი, შესაძლოა, არ აღმოჩნდეს საკმარისი თუ კი საერთაშორისო საზოგადოება არ შეასრულებს ამ ვალდებულებებს.

ბუნებრივი წიაღისეულის ქარტია დაიწერა პრაქტიკოსებისა და აკადემიკოსების დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ საზედამხედველო საბჭოს მართველობით. საბჭო დაკომპლექტებულია წიაღით მდიდარი ქვეყნებისთვის დამახასიათებელ გამონწვევებთან დაკავშირებით პირველადი გამოცდილების მქონე გამორჩეული საერთაშორისო ფიგურებით. ქარტია არ წარმოადგენს რომელიმე ინსტიტუტს ან ვინმეს სპეციალურ ინტერესს. იგი შეიქმნა იმ რწმენით რომ ბუნებრივი წიაღისეულის სიმდიდრე შესაძლოა წარმოადგენდეს სოციალური და ეკონომიკური წინსვლის ძლიერ იარაღს, იმ შემთხვევაში თუ ქვეყნებს შეეძლებათ გადალახონ გამონწვევები. იგი მიზნად ისახავს გამოსადეგი და ნათლად გამოხატული რჩევის შეთავაზებას.

წიაღისეულის მართვის შიდა ფონდები

I პრინციპი - წიაღისეულის მართვამ ინკლუზიური და ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიით, სუფთა სამართლებრივი ჩარჩოებითა და კომპეტენტური ინსტიტუტებით მოქალაქეებს უდიდესი სარგებელი უნდა მოუტანოს.

წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებს მეტი შესაძლებლობა აქვთ, ბუნებრივი დოვლათი გარდაქმნითი და მდგრადი კეთილდღეობისათვის გამოიყენონ. თუმცა, არასწორი მმართველობის შემთხვევაში, წიაღისეულის ამოღება ქვეყანას შესაძლოა ძვირი დაუჯდეს. როგორც მათივე მოპოვებითი წიაღისეულის ზედამხედველები, ხელისუფლებები ვალდებული არიან, აღნიშნული წიაღისეული მართონ ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის.

წიაღისეულის ეფექტური და მდგრადი მართვა საჭიროებს ინკლუზიურ და ყოვლისმომცველ ეროვნულ სტრატეგიას. აღნიშნულის მისაღწევად მთავრობამ უნდა მიიღოს რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ სხვადასხვა ჯგუფზე და ადგენენ შორეულ მომავალზე გათვლილ არჩევნებს. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ეტაპობრივი გადაწყვეტილებების მიღება და გაიზარდოს მიმართულების გაზიარებული შეგრძნება, ხელისუფლებებმა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად უნდა გამოიყენონ ეროვნული სტრატეგიის პროცესი, რათა უხელმძღვანელონ მოპოვებითი მრეწველობის მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს.

გრძელი ვადის გათვალისწინება

ეროვნულ სტრატეგიას უნდა გააჩნდეს გრძელვადიანი მიდგომა და ითვალისწინებდეს, რომ მიწაში არსებული დოვლათის გარდაქმნა უფრო ფართო სოციალურ სარგებლად საჭიროებს მრავალ წელს და გზად ავლენს ბევრ დაბრკოლებასა და გაუთვალისწინებელ მოვლენას. თუ მოქალაქეებს აწუხებთ მათი შვილებისა და მომავალი თაობების კეთილდღეობა, მათ უნდა აღიარონ, რომ მომავალ თაობებს აქვთ უფლება, სარგებელი მიიღონ მოპოვებითი მრეწველობით და თავი დაიცვან მისი გარდაუვალი ზემოქმედებისგან.

საზოგადოების ჩართულობა

ეროვნული სტრატეგია უფრო წარმატებულია, როდესაც იგი ინკლუზიური პროცესის შედეგია, რომელიც ღიაობასა და მონაწილეობაზე დაყრდნობით ტარდება. საჯაროდ განხილული გეგმა პოლიტიკის კონფლიქტებსა და შეუსაბამობებს უფრო ადრეულ ეტაპზე წარმოაჩენს, ზღუდავს თვითდასაქმებასა და კორუფციას და კურსის ცვლილებებს ნაკლებად საზიანოს ხდის. გადაწყვეტილებების მიმღებები უნდა ეცადონ, გაითვალისწინონ დაინტერესებულ მხარეთა რესურსები. დაინტერესებული მხარე მოიცავს დანაშაულებელ მთავრობის დეპარტამენტებით, პარლამენტითა და მოქალაქეებით, რომლებზეც მოპოვება პირდაპირ გავლენას ახდენს, დასრულებული სამოქალაქო საზოგადოების უფრო ფართო გაგებით, ასევე მოპოვებითი

მრეწველობის კომპანიებითა და ზოგადად კერძო სექტორის ბიზნესით. ამ ჯგუფებს სწორად აქვთ გააზრებული დაგეგმარების პროცესში გადასაჭრელი საკითხები. ვინაიდან მოპოვებითი პროცესი შესაძლოა თაობები გაგრძელდეს, ანმყოში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უნდა გაუძღონ მთავრობათა ცვლილებებს. აღნიშნული ცხადყოფს ინფორმირებული მოქალაქეების კრიტიკული მასის შეგნების გაზრდისა და კონსენსუსის საჭიროებას. აღმასრულებელი ჯგუფის მიღმა არსებული მოქმედი სუბიექტები, მათ შორის კანონმდებლები, ჟურნალისტები და სამოქალაქო ჯგუფები, წარმოადგენენ სტრატეგიის გუშაგებს, რომლებიც პასუხისმგებლობის დაყენებით ზედამხედველების როლს ასრულებენ {პასუხისმგებლობის დაყენების საზედამხედველო როლის შესრულების თაობაზე იხილეთ მე-2 პრინციპი}.

ამომწურავი სტრატეგიის უზრუნველყოფა

ამომწურავი მიდგომით ხელისუფლებები ადგენენ საზღვრებს, რათა მოპოვებით მრეწველობაში უკეთ გაიაზრონ და დანერგონ ინიციატივები. აღნიშნული მოიცავს აღმავალი და დაღმავალი ინდუსტრიის გადაწყვეტილებების, გარემოს დაცვითი და საზოგადოებრივი საკითხების და უფრო ფართო ეკონომიკური პრობლემური საკითხების ერთმანეთთან დაკავშირებას.

აღნიშნული მთავრობაში მოითხოვს სამთო, ენერჯეტიკის, ფინანსთა, დაგეგმარებისა და სხვა სამინისტროების შეთანხმებულ მოქმედებასა და უფლებამოსილების გაცემისთვის საჭირო შესაბამის გარემოს. სამინისტროთაშორის შეთანხმებული მოქმედებები აუცილებელია თვისობრივად დაკავშირებული და თანხვედრი დაბრკოლებებისათვის. შესაძლოა, უკეთესი იყოს, რომ სტრატეგიული მიმართულება აღმასრულებელი ოფისიდან მოდიოდეს; ალტერნატიულ შემთხვევაში, შეთანხმებული მოქმედებებისა და დანერგვის მიზნებისათვის შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს ყოვლისმომცველი ორგანოს არსებობა, რომელიც თითოეულ სამინისტროს წარმოადგენს.

ძალიან ხშირად დოვლათის რესურსების გარდაქმნა სარგებლად ვერ ხორციელდება არა სწორი ეკონომიკური პოლიტიკის არარსებობის, არამედ მთავრობის ძირითადი სისტემის სისუსტის გამო. შესაბამისად, წარმატებული სტრატეგია მოითხოვს არა მხოლოდ ეკონომიკის გააზრებას, არამედ სახელისუფლო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების, სტრუქტურისა და შესაძლებლობების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობების დაფასებას.

გადაწყვეტილება სივრცის კვლევისთვის გახსნის თაობაზე

ქვეყნის ან ამ ქვეყნის სპეციფიკური არეალის გახსნა მოკვლევითის ან მოპოვებითისთვის ყოველთვის საუკეთესო სამოქმედო კურსს არ წარმოადგენს. წარმოების არეალსა და უფრო ფართოდ ქვეყანაზე გავრცელებულმა უარყოფითმა ზეგავლენებმა შესაძლოა, გადაწონონ დადებითი ზეგავლენა. თუმცა, მოპოვების პოტენციური ეკონომიკური სარგებელი ხშირად უფრო მეტია, როდესაც მისი განხორციელება განიხილება ქვეყნის ყველა მოქალაქის ჭრილში. მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ ისეთი ხერხები, როგორებიცაა სტრატეგიული გარემოს დაცვითი შეფასებები, რომლებიც მათ დაეხმარებიან პროექტების გატარების ადგილებში შეუქცევადი გადაწყვეტილებების ამოქმედებამდე, უფრო ფართო სტრატეგიის მიღების პროცესში მხედველობაში მიიღონ გარემოზე ზემოქმედების საკითხი. თუ ხარჯი ძალიან

მაღალია, დაკარგული გარემოსდაცვითი ღირებულების შეცვლა, ან უარყოფითი გემოქმედების ქვეშ არსებული პირებისათვის ადეკვატური ანაზღაურების გადახდა შესაძლოა, შეუძლებელი იყოს. ასეთ შემთხვევებში, ქვეყნებმა შესაძლოა გადაწყვიტონ, რომ არ ჩაატარონ მოპოვებითი სამუშაოები.

როგორც შეფასების ნაწილი, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს იმ ინსტიტუტებისა და სექტორების სტრუქტურა და შესაძლებლობა, რომლებმაც უნდა მართონ პროცესები გადაწყვეტილებების ჯაჭვთან ერთად და შედეგად შესაძლოა დაასკვნას, რომ ქვეყნის ეკონომიკა ან სამთავრობო სისტემა ჯერ არ არის მზად, ეფექტურად მართოს დიდი ოდენობის გაუთვალისწინებელი შედეგი. მოკვლევისა და მოპოვების ვადების განრიგის დადგენა შესაძლოა წარმოადგენდეს ერთ-ერთ გამოსავალს ასეთ შემთხვევაში; აღნიშნული საშუალებას აძლევს სახელისუფლო ინსტიტუტების კადრებს, რომ ისწავლონ მათივე სამუშაო დატვირთვის მართვით მიღებული გამოცდილებით.

სტრატეგიის ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბება გაურკვეველ მომავალს ცხადყოფს

კომპანიებთან ხელშეკრულებების გაფორმებამდე მთავრობამ უნდა მიიღოს მრავალი გადაწყვეტილება, როგორებიცაა ლიცენზირებისა და გადასახადების დაკისრების ტემპის დადგენა და თუ როგორი სამართლებრივი სისტემა უნდა შეიქმნას. ამასთანავე, მთავრობას აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღება გაურკვეველ გარემოში მოუწევს. შესაბამისად, ქვეყნებმა სტრატეგიის პროცესი შეძლებისდაგვარად ადრე უნდა წამოიწყონ; პროცესმა უნდა უხელმძღვანელოს გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა შეცვლილი გარემოების მიმართ მარტივად მისადაგებადი უნდა დარჩეს.

სტრატეგიის გასაგებ და თანმიმდევრულ ინსტიტუციონალურ ჩარჩოდ გარდაქმნა

წესები, პასუხისმგებლობები და ინსტიტუტები, რომლებიც მართავენ მოქმედი პირების საქციელს, უმნიშვნელოვანესები არიან რესურსების ოპტიმალური მართვისათვის. გამონწვევას წარმოადგენს სტრატეგიის სახელმძღვანელო პოლიტიკის გადატანა გასაგებ და თანმიმდევრულად განსაზღვრულ წესებში იმ კომპეტენტურ ინსტიტუტებთან ერთად, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან, ადმინისტრირება გაუწიონ და აღასრულონ აღნიშნული წესები. მთავრობამ აღნიშნული „ჩარჩო წესები“ უნდა შექმნას მოპოვებითი მრეწველობის სექტორის სპეციფიკური და ცვალებადი კონტექსტის გათვალისწინებით და იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციონალური კონტექსტისათვის შესაბამისი წესით.

კომპანიებისათვის უფლებების გადაცემამდე მთავრობებმა უნდა დაადგინონ შეძლებისდაგვარად ბევრი სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო. აღნიშნული დაეხმარება კომპანიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ძლიერი მმართველობის განხორციელებაში; ასევე, კომპანიებს მისცემს გარკვეულ გარანტიას იმ წესებთან დაკავშირებით, რომელთა მიხედვითაც ისინი მოქმედებენ. პირობების კანონმდებლობაში განერა ზღუდავს ერთპიროვნული ქმედებების შესაძლებლობებს და ზრდის გამჭვირვალობას. თუმცა, ასევე შესაძლოა რომ სექტორის განვითარების შედეგად მიღებული შეცვლილი პირობების საპასუხოდ წესების შეცვლის შესაძლებლობა შეზღუდოს. კანონმდებლობისა და

ხელშეკრულებების ალტერნატივას წარმოადგენს სამთავრობო სააგენტოებისთვის მოპოვებითი მრეწველობის სექტორის მარეგულირებელი უფლებამოსილების მინიჭება. სწორად მომზადებული და შემოწმებული რეგულაციები ქმნიან წესებს, რომლებიც პასუხობენ შეცვლილ გარემოებებს, ავსებენ იმ საჭირო დეტალებს, რომლებიც შესაძლოა აკლდეს კანონმდებლობას.

ერთიანი მიზნის მქონე კომპეტენტური ინსტიტუტების შექმნა

ქვეყნის სტრატეგიული გეგმის მხარდასაჭერად მთავრობამ თითოეული ინსტიტუტისთვის უნდა დაადგინოს თანმიმდევრული მიზნები. გარდა ამისა, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისთვის, აღმასრულებლისთვის და გენერალური აუდიტორისთვის აღნიშნული ინსტიტუტების ზედამხედველობის შესაძლებლობა. თითოეული ინსტიტუტის როლი კარგად უნდა იყოს განმარტებული, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი და პასუხიმგებლობებთან დაკავშირებით არსებული ხარვეზები. სიცხადე იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ადგენს წესებს, ვინ ახორციელებს მათ ადმინისტრირებასა და აღსრულებას, ძალიან მნიშვნელოვანია {ეროვნული კომპანიებისათვის როლების მინიჭების თაობაზე ასევე იხილეთ მე-6 პრინციპი}.

სამთავრობო ინსტიტუტებში ქმედითუნარიანობის დანერგვა და შენარჩუნება მნიშვნელოვანია, თუმცა რთული, განსაკუთრებით მოპოვებითი მრეწველობის სექტორში, ვინაიდან მთავრობის მეორე მხარეს დგანან ტექნიკურ საკითხებში გამოცდილი კომპანიები. აღნიშნული სირთულის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ინსტიტუტებზე როლების განაწილება ისე, რომ ამან ასახოს მთლიანობა და გამჭვირვალობა, ნაცვლად იმისა რომ ასეთ განაწილებას ქონდეს, მაგალითისთვის, ჯილდოს ან პრესტიჟის ფორმა. იდეალურ შემთხვევაში, სამთავრობო აღმასრულებლების მიერ და თავად ინსტიტუტებში მიღებული ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები უნდა იყოს დამოუკიდებელი და პოლიტიკური ჩარევისაგან დაცული, რათა ამან განავითაროს ნამდვილად პროფესიული უნარი. მერიტოკრატიული დანიშნულების სისტემას და გააზრებული ადამიანური რესურსების პოლიტიკას შეუძლია დანერგოს ეფექტურობა და პროფესიონალური სამოქალაქო მომსახურების კულტურა.

და ბოლოს, სამთავრობო ინსტიტუტების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საუკეთესო და ყველაზე კვალიფიციური კადრის შენარჩუნება. კერძო სექტორში, ან თუნდაც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მოპოვებით მრეწველობაში მოქმედ საწარმოში დასაქმება შესაძლოა განსაკუთრებით მიმზიდველი იყოს ნიჭიერი კადრისთვის, რომლის ჩამოშორება უფრო მიმზიდველი შესაძლებლობებისგან შესაძლოა წარმოადგენდეს განგრძობით გადინებას სამთავრობო ინსტიტუტებიდან. სამიზნე ხელფასი და ჯილდო-პაკეტი, ყოფილი სამთავრობო დასაქმებულის შესაძლებლობა, მოგვიანებით დაბრუნდეს და სამთავრობო ინსტიტუტებში პროფესიონალური სამუშაო კულტურის ხელშეწყობა შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს ამ კუთხით.

II პრინციპი - წიაღისეულის მართვა საჭიროებს გადანყვეტილების მიმღებების პასუხისმგებლობის დაყენებას ინფორმირებული საზოგადოების წინაშე

დოვლათის რესურსების მართვამ მოქალაქეების სახელით შესაძლოა, მდგრადი კეთილდღეობა გამოიწვიოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხდება მთავრობის პასუხისმგებლობის დაყენება საჯაროდ. ქმედების მიმდინარე შემომწება მნიშვნელოვნად აკავებს კორუფციასა და ახალისებს გაუმჯობესებულ შესრულებას მთავრობის ყველა დონეზე. გარდა ამისა, დოვლათის რესურსის მართვის ეროვნული სტრატეგია მომავალშიც დარჩება ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შემომწება არსებულ და მომავალ მთავრობებს სავალდებულო ძალით აკავშირებს მათ მიერ დადგენილ მიზნებთან.

გადანყვეტილების მთელ ჯაჭვთან ერთად ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

ეკონომიკური საქმიანობის ბევრი ფორმისგან განსხვავებით, წიაღისეულის მოპოვებითი მრეწველობა და შემოსავლის მართვა ხშირად დისტანცირებულია მოქალაქეთა უმრავლესობის ცხოვრებისგან. გადანყვეტილების ჯაჭვის ზედამხედველობა რთულია, როდესაც არსებობს კორუფციის საფრთხე და მმართველობის სუსტი დაცვა.

ანგარიშგაღებულების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა გამჭვირვალობაა. თუმცა, პერიოდულად მიღებული ინფორმაცია საკმარისი არ არის. მთავრობამ უნდა გაასაჯაროს ინფორმაცია გადანყვეტილების სრულ ჯაჭვთან დაკავშირებით სრულ დამატებით ინფორმაციასთან ერთად. მაგალითისთვის, შემოსავლების თაობაზე მონაცემებს შესაძლოა, თან ახლდეს ინფორმაცია მოქმედ საგადასახადო ტარიფებზე და დაბეგვრად შემოსავალზე. ამგვარი ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს დანაწევრების შესაფერის დონეზე, როგორცაა ადგილმდებარეობა, პროექტი და პროდუქტის ტიპი. გარდა ამისა, “მექანიზმებდამა მონაცემმა” (მონაცემი რომელიც გაერთიანებულია ამ მონაცემის აღწერილობასთან, რათა შესაძლებელი გახდეს კომპიუტერების მიერ მათი ავტომატური გამოყენება), ორმხრივად შეთანხმებული თავსებადი სტანდარტებით შესაძლოა, ხელი შეუწყოს ზედამხედველობით ძალისხმევებს. გარდა ამისა, იმ კომპანიების სახელების გამოქვეყნება, რომლებიც საქმიანობენ მოპოვებით აქტივებში, მონაწილეობას იღებენ მოპოვებითი აქტივების ტენდერებში და ასევე ამ აქტივებში ახორციელებენ ინვესტირებას, ისევე როგორც მათი ბენეფიციარი მესაკუთრეების ვინაობის გასაჯაროება ხელს შეუწყობს მოქმედი ფისკალური რეჟიმის ზედამხედველობასა და აღსრულებას.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების ქმედებები უნდა ექვემდებარებოდეს სულ მცირე იმავე დონის გასაჯაროების მოთხოვნას, რომელიც ვრცელდება კერძო კომპანიებზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წიაღისეულის კომპანიები ასევე უნდა იყვნენ გამჭვირვალენი თავიანთ სტრატეგიებთან და ხარჯებთან მიმართებაში. საჯარო ინტერესმა ასევე შეიძლება მოითხოვოს ღიაობის უფრო მაღალი ხარისხი.

ხელისუფლებამ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს მონაცემები და დასკვნები ლიცენზირების, გეოლოგიური კვლევების, კადასტრებისა და რეზერვების შესახებ, ასევე ეკონომიკური, გარემოს

ბუნებრივი რესურსების ქართია

დაცვითი და სოციალური ზეგავლენის თაობაზე შეფასებები. მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა ასევე გამოაქვეყნონ ხელშეკრულებები და ონლაინ. ხელმისაწვდომი გახადონ.

ასევე მნიშვნელოვანია იმ ინფორმაციის გასაჯაროება რომელიც სექტორის მართვის, შემოსავლის მართვისა და ხარჯების ეროვნული ანგარიშგებისა და ზედამხედველობის საშუალებას იძლევა. ეს ინფორმაცია შესაძლოა დაედაროს ნებისმიერ ფისკალურ წესს, რომელსაც მთავრობა უდგენს საკუთარ თავს. გადა ამისა, დანაზოგების ფონდებს უნდა ჰქონდეს ინფორმაციის გამჟღავნების თაობაზე მოთხოვნების მაღალი დონე, კერძოდ უნდა ითვალისწინებდნენ პოტენციურ ბიუჯეტის გაქვითვის თაობაზე საქმიანობას. ფონდების მენეჯმენტი უნდა აქვეყნებდეს ინფორმაციას ბალანსისა და ფულადი სახსრების, გადახდების მიმღებებისა და აუდიტორების თაობაზე.

მთავრობა უნდა აქვეყნებდეს არა მხოლოდ გადახდებისა და ხარჯვის თაობაზე ინფორმაციას, არამედ შესაბამის წესებს, რომლებიც ვრცელდება სრულ გადანაცვებებების ჯაჭვზე. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული წესების დიდ ნაწილს მთავრობები ხელშეკრულებებში დებენ. ეს ხელშეკრულებები კი საჯარო გამოკვლევის მიღმა რჩებიან. მთავრობებმა შეძლებისდაგვარად უნდა შეიტანონ ეს პირობები კანონმდებლობაში, რომელთა შეფასება უფრო მარტივად შეუძლიათ დამკვირვებლებს, ვიდრე ხელშეკრულების. ნებისმიერი დარჩენილი დათმობები, რომლებიც ჩაინერა ხელშეკრულებაში, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტულ და კანონით დადგენილ პირობას, უნდა წარედგინოს და დადასტურდეს კანონმდებლის მიერ. უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებების კონფიდენციალურობის მუხლები თავიდან უნდა იქნას აცილებული და ხელშეკრულებები საჯარო უნდა გახდეს.

საზოგადოების უფლება, წვდომა ჰქონდეს ინფორმაციაზე, დადგენილია ბევრი ეროვნული და საერთაშორისო კონვენციით. ქვეყნების მზარდ რაოდენობას გააჩნია კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც ადგენს, რომ სამთავრობო ინფორმაცია საჯაროა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საჯაროობა აკრძალულია კანონით.

მთავრობებმა უნდა შეიმუშაონ ასეთი წესები, რათა შეამცირონ იმის რისკები, რომ წიაღისეულის მოპოვების თაობაზე უფლებები არ გადაეცეს სხვას მანამ, სანამ საზოგადოების წევრებს არ ექნებათ შესაძლებლობა, შეამოწმონ ხელშეკრულებები, რომლებიც გავლენას იქონიებენ მათზე. მთავრობამ და ბიზნესმა ასევე შესაძლოა სარგებელი მიიღოს გამჭვირვალობის უფრო მაღალი დონით. საჯაროობის პირობები ქმნიან ინფორმაციის მართვის ეფექტური სისტემების შენარჩუნების სტიმულს, რაც ამცირებს კარგი მონაცემების შეგროვებისა და შენახვის ხარჯებს და აუმჯობესებს მათ სიზუსტეს.

ეს მნიშვნელოვანია ეფექტური სამთავრობო საქმიანობისთვის: ეს მმართველების მიერ მიღებულ გადანაცვებებს ინფორმირებულს ხდის, აუმჯობესებს კომპანიებისა და მოქალაქეებისთვის მიწოდებული მომსახურების ხარისხს და მხარს უჭერს მთავრობის ანგარიშგაღებულებას. დამატებით, კომპანიები აწყდებიან საჯარო მოლოდინების მართვის გამონვევას იმ ადგილებში, სადაც ისინი მუშაობენ: ეფექტური გამჭვირვალობა მათ საშუალებას აძლევთ შეამსუბუქონ უნდობლობა და გააძლიერონ “საქმიანობის სოციალური ლიცენზია”.

ინსტიტუტებისთვის გასაგები როლების დადგენა

ქვეყნის როლები და სტანდარტები უნდა იყოს ცხადად განსაზღვრული და გააზრებული ყველას მიერ, რათა საზოგადოებამ შეძლოს ხელისუფლების ქმედებების მონიტორინგი. ღირებულებებისა და ეთიკური სტანდარტების კომპლექტი, რომელიც ასახავს საზოგადოების მოლოდინებს თანამდებობის პირებისათვის და რომელიც დადგენილია კანონებსა და რეგულაციებში, უნდა ხელმძღვანელობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

ხელისუფლება უკეთ ფუნქციონირებს, თუ პასუხისმგებლობის ჩარჩო ნათლად არის დადგენილი და თუ აღმასრულებლებს და ისეთ ორგანოებს, როგორებიცაა დამოუკიდებელი აუდიტორი, შესაძლებლობა აქვთ დააკვირდნენ და იმ ინსტიტუტების პასუხისმგებლობა დააყენონ, რომლებიც ვერ ასრულებენ მათ ვალდებულებებს. გარდა ამისა, იმისათვის, რომ უკეთესი შესრულების თაობაზე არსებული მოთხოვნა შეასრულონ, სახელისუფლო ინსტიტუტებს უნდა შეეძლოთ ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება - მეტი ანგარიშვალდებულება მოითხოვს უკეთეს უნარებს იმისათვის, რომ მმართველობა გაუმჯობესდეს. (როლების და პასუხისმგებლობების ჩარჩოებთან და ასევე ინსტიტუტების უნარებთან დაკავშირებით იხილეთ 1-ლი პრინციპი).

ინფორმირებული მოქალაქეების კრიტიკული მასის მხარდაჭერა კარგი მმართველობის მოთხოვნის ნაწილი

ინფორმაციის მინოდებისას ასევე შესაძლებელი უნდა იყოს ხელისუფლების ქმედებებზე დაკვირვება და მათი კრიტიკა. სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, რელიგიურ, აკადემიურ, პროფესიულ და სოციალური ორგანიზაციებს, ისევე როგორც მედიას, აკისრიათ მნიშვნელოვანი როლი. ეფექტურობისათვის ეს ორგანიზაციები ხელისუფლებისგან დამოუკიდებელნი და ღია უნდა იყვნენ მათ მიერ წარმოდგენილი დაფინანსების წყაროებთან და ინტერესებთან მიმართებაში. ამის სანაცვლოდ, მთავრობამ უნდა შექმნას და დაიცვას სამოქალაქო საზოგადოების უფლებები, მათ შორის მედია და მათ საშუალება უნდა მისცეს იმუშაონ ზენოლის გარეშე.

კანონმდებლობა უმნიშვნელოვანესია აღმასრულებლის ზედამხედველობასთან დაკავშირებით. მას შეუძლია, შეამოწმოს ხელისუფლების და მისი ინსტიტუტების ქმედებები და იმოქმედოს, როგორც საზოგადოებრივი შემფოთების საგნის არხმა. იმისათვის, რომ კანონმდებლობამ შეასრულოს ეს როლი, საჭიროა, რომ მოპოვებით საკითხებთან დაკავშირებით მას ჰქონდეს გაძლიერებული უნარები და შეგნება, ისევე როგორც წვდომა სანდო რჩევებზე მოპოვებითი რესურსების მართვის ნიუანსებთან დაკავშირებით.

ინფორმირებულ მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ, უკეთ განიხილონ ეროვნული სტრატეგიული მიმართულება ხელისუფლებასთან. ასევე, მოქალაქეებისთვის რესურსების მართვის გარდამავალი მნიშვნელობის გათვალისწინებით, საჯარო მოპოვების მართვა კრიტიკულია. ამასთან დაკავშირებით ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგია და ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებული ურთიერთობა არსებითია.

წესების აღსრულება

და ბოლოს, გარდა ქმედებების ზედამხედველობის მეთოდებისა, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ჯარიმების აღსრულება, რაც მოითხოვს პოლიტიკურ ნებასა და უნარს, დასაჯოს დამნაშავეები. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია სანდო და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა. სასამართლო ქმედებების გატარების ძლიერი შესაძლებლობის გარეშე არსებობს კორუფციული ან კრიმინალური ქმედებების გაზრდილი პოტენციალი.

DRAFT

აღმოჩენა და მოპოვების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

III პრინციპი - ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს ეფექტური მოკვლევა და საწარმოო საქმიანობა და უფლებები გამჭვირვალედ გაანაწილოს

ხელისუფლების გამონწვევა უზრუნველყოს ეფექტური მოკვლევა და საწარმოო საქმიანობა ამომწურავი ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში; მან ასევე მაქსიმალურად ადრე უნდა დაადგინოს სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო (ეროვნული რესურსების სტრატეგიის, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს ფორმირებასთან დაკავშირებით იხილეთ 1-ლი პრინციპი).

მოკვლევისთვის ლიცენზირებით გასაცემ არეალზე იურისდიქციის დადასტურება

ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა დაადასტუროს, რომ მას აქვს უდავო იურისდიქცია იმ არეალებზე, რომლების გახსნასაც აპირებს კვლევებისთვის. აღნიშნული ვრცელდება როგორც ადგილობრივად, ისე მეზობელ ქვეყნებზე და მოიცავს პირობებს იმ აღმოჩენების ერთობლივ განვითარებაზე, რომლებიც სცდება ეროვნულ საზღვრებს.

წიაღისეულის საფუძვლის კარგი ცოდნა და ამ ცოდნის შენარჩუნება

ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა გაზარდონ მათი ქვეყნის წიაღისეულის საფუძვლების თაობაზე ინფორმირებულობა, როგორც ამ წიაღისეულის რაოდენობრივ ნაწილში, ისე მისი გეოგრაფიული გადანაწილების კუთხით. წიაღისეულის საფუძვლის რაოდენობა გავლენას ახდენს ექსპლუატაციისა და პოტენციური სამომავლო შემოსავლების ტარიფებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე. ინფორმაცია გეოგრაფიულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობს საკუთრების უფლებისა და კვლევის ლიცენზიის დადგენას ქვეყნის შიგნით, ასევე სამომავლო სოციალური და გარემოს დაცვითი ზეგავლენის დადგენას.

ლიცენზიის წინარე ინვესტიცია გეოლოგიურ და გეოფიზიკურ კვლევებში, რომელიც დაფინანსებულია ხელისუფლების მიერ ან გარე დონორების მიერ, მაღალშემოსავლიანი იქნება ხელისუფლებისთვის, თუკი ამის შედეგად მიღებული ინფორმაცია ინვესტორებისთვის გეოლოგიას უფრო მიმზიდველს გახდის და შესაბამისად, მოიზიდავს უფრო მაღალ წინადადებებს. თუმცა, გაზრდილმა ინფორმაციამ შესაძლოა გეოლოგია ნაკლებად მიმზიდველი გახადოს თუ იგი ცხადყოფს, რომ გეოლოგია ნაკლებად მიმზიდველია აღმოჩენებისათვის.

ხელისუფლება ვალდებულია, შეაგროვოს, შეინახოს და გააანალიზოს ტექნიკური ინფორმაცია, რომელიც წარმოიშობა მის იურისდიქციაში არსებული ყველა მოკვლევითი ოპერაციის შედეგად. აღნიშნული ინფორმაცია უმნიშვნელოვანესია ხელისუფლების გეოლოგიური შეგნების ბრდისათვის, რაც გააძლიერებს მის პოზიციას ინვესტორებთან მოლაპარაკებების დროს და საშუალებას მისცემს, გააუმჯობესოს ლიცენზირების რეჟიმი. ამ მიზნით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ინვესტორების მიერ ყველა ტექნიკური ინფორმაციის წარმოდგენა გასაგები ფორმატით.

საკუთრების უფლებების დაცვა და მოკვლევისთვის გასახსნელ არეალებთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღება

კვლევით სამუშაოებზე ლიცენზიის გაცემამდე ხელისუფლება ვალდებულია, კანონისმიერად დაადგინოს საკუთრების უფლება ისეთი მოპოვებით და ზედაპირულ რესურსებთან მიმართებაში, როგორცაა კვლევისთვის გასახსნელ ადგილებში არსებული საძოვარი მიწა და წყალი (გარემოს დაცვით ანალიზსა და მიმდინარე რეგულაციებზე, იხილეთ მე-5 პრინციპი).

ხელისუფლება ვალდებულია, ყურადღებით განიხილოს კვლევითი ლიცენზიის ზომა და საზღვრები, პოტენციური კვლევითი დეპოზიტების ძირითადი გეოლოგიის, ზომისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით. კვლევის საწყის ეტაპებზე, როგორც წესი, ლიცენზიები ძალიან დიდია, რადგან სამომავლო გეოლოგიური ადგილმდებარეობა კარგად განსაზღვრული არ არის. ლიცენზირების რეჟიმით შესაძლებელი უნდა იყოს ლიცენზიის ზომის შემცირება მოკვლევის მიმდინარეობისას, რათა თავიდან იქნას აცილებული დიდი ოდენობით წიაღისეულის საფუძვლის მოქცევა ნებისმიერ ლიცენზიაში. ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, იზრუნოს ლიცენზიის მინიჭების თანამიმდევრულობაზე, რათა უზრუნველყოს ხელისუფლების მიერ აღმოჩენის შედეგად გაზრდილი მიწის ღირებულებით სარგებლის მიღება.

და ბოლოს, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, ღირს თუ არა პოტენციური შემოსავალი გარემო რისკებად, მაგალითად ჰაერის დაბინძურების რისკად. ხელისუფლება ვალდებულია, ან გადანყვიტოს, თავიდან აიცილოს მოკვლევა გარემოს დაცვისა და სოციალური კუთხით მგრძობიარე ტერიტორიაზე, ან გადაადგას ნაბიჯები აღნიშნული რისკების შესამცირებლად.

უფლებების განაწილებისათვის შესაფერისი მეთოდის შერჩევა

მთავრობა ვალდებულია, გადანყვიტოს, ვინ განახორციელებს კვლევით და წარმოებით ქმედებებს და რა პირობებით. თუ ხელისუფლება კერძო კომპანიებს მისცემს მონაწილეობის საშუალებას, მას შეუძლია აწარმოოს პირდაპირი მოლაპარაკებები ყოველი ლიცენზირების შემთხვევაზე ინდივიდუალურად (case by case), ან ჩაატაროს ლიცენზირების რაუნდები, სადაც ერთი ან მეტი ლიცენზიის მინიჭება მოხდება შედარებითი პროცესით (სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების საქმიანობის როლების თაობაზე იხილეთ მე-6 პრინციპი).

კარგად დაგეგმილი აუქციონები უფრო სასურველია, ვინაიდან შეჭიბრებითობაზე დაყრდნობით გაკეთებული წინადადებები ქვეყნისთვის უფრო მეტ ღირებულებას უზრუნველყოფენ. აუქციონები ასევე ხელს უწყობენ ინფორმაციის დეფიციტის აღმოფხვრას, რომელიც ხელისუფლებას შესაძლოა ჰქონდეს საერთაშორისო კომპანიებთან მიმართებაში. აუქციონები ასევე არსებითად უფრო გამჭვირვალე პროცესია, ვიდრე პირდაპირი მოლაპარაკებები, ისინი ამცირებენ მოკვლევისა და მოპოვების უფლების მიძღები შეუსაბამო კომპანიების, ან პირების არსებობის რისკს. აუქციონების წარმატება, როგორც წესი, დამოკიდებულია მინიმუმ სამ მონაწილეზე. მონაწილეთა მხრიდან სათანადო ინტერესის გარეშე შეჭიბრებითობაზე დაფუძნებული პროცესი ვერ იქნება შესაფერისი არჩევანი ხელისუფლების მხრიდან. აღნიშნული მნიშვნელოვანია, როდესაც არსებობს არასაკმარისი გეოლოგიური ინფორმაცია. ეს მეტად დამახასიათებელია სამთო ლიცენზირებისთვის, ვიდრე სანავთობე

ბუნებრივი რესურსების ქართია

ლიცენზირებისთვის. როდესაც არ არსებობს აუქციონისთვის საკმარისი კონკურსი, ხელისუფლება ვალდებულია, გამოიყენოს ლიცენზირების ეტაპი მკაცრი ტექნიკური კრიტერიუმებით.

მიუხედავად გამოყენებული მეთოდისა, არსებობს მთელი რიგი პრინციპები, რომლებიც აძლიერებენ ხელისუფლების პოზიციას განაწილების პროცესში. ხელისუფლება ვალდებულია, გაასაჯაროს განაწილების პროცედურებთან დაკავშირებით არსებული ინფორმაცია; მინიჭებული ხელშეკრულებები, მათ შორის ფისკალური და საგადასახადო პირობები; ყველა ლიცენზიის მფლობელის ბენეფიციარი მესაკუთრე; შეთანხმებული სამუშაო პროგრამა; და ფინანსური ვალდებულებები და ნებისმიერი ფისკალური პირობები, რომლებიც დამახასიათებელია კონკრეტული ლიცენზიისათვის.

ხელისუფლება ვალდებულია, წინასწარი კვალიფიკაცია მიანიჭოს მონაწილე კომპანიებს, რათა დარწმუნდეს, რომ პოტენციურ ლიცენზიის მფლობელებს აქვთ წიაღისეულის განვითარების პროგრამის შესრულებისთვის საჭირო ტექნიკური და ფინანსური უნარები და პროექტთან და მასთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურასთან ასოცირებული რისკების მართვისთვის შესაფერისი გამოცდილება. ხელისუფლებამ ასევე უნდა გადანყვიტოს, წაახალისოს თუ არა ერთობლივი სატენდერო წინადადებები და შეინარჩუნოს თუ არა წილობრივი მონაწილეობის განაწილების უფლება ლიცენზიაში.

მესამე, ხელისუფლება ვალდებულია, შეზღუდოს სატენდერო წინადადებები მცირე ოდენობის პირობებით, რათა დაუშვას თვალნათლივი შედარება სატენდერო წინადადებებში. ეს შესაძლოა იყოს სამუშაო პროგრამის, ხელმომწერი ბონუსების და ადგილობრივი შინაარსის დებულებების პირობები. კონკურსი, ან მოლაპარაკება მხოლოდ მოპოვებითი უფლების ფასს არ უნდა შეეხებოდეს. თუმცა, მეორე მხრივ, საკითხების ძალიან დიდი ოდენობა ზრდის სირთულის მაჩვენებელს, აქრობს შეფასების გამჭვირვალობას და ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მეოთხე, ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ კომპანიების მიერ სატენდერო წინადადების დაყენების შემდგომ არ არსებობდეს პირობების მოლაპარაკების საჭიროება. ამ საკითხს ეხმარება (თუ ამყარებს) ცხადი და გამჭვირვალე სატენდერო პირობები და სტანდარტული ხელშეკრულებები.

და ბოლოს, ხელისუფლებამ გულდასმით უნდა შეაფასოს მომსახურებების ან ინფრასტრუქტურის ღირებულება, როგორც მოპოვების უფლების სანაცვლოდ მიღებული ბარტერული გარიგება. თუ არსებობს მნიშვნელოვანი გაურკვევლობა, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ამგვარი გარიგებების თავიდან აცილების ვარიანტი. ბარტერული გარიგებები ხშირად თვისობრივად გამჭვირვალეა და შესაძლოა, კორუფციის საფრთხე წარმოშინ.

განვითარების გეგმების სახელისუფლო მიზნებთან შესაბამისობის და მათი დროული წესით დამტკიცების უზრუნველყოფა

კომერციული აღმოჩენის და შეფასებითი სამუშაოს შემდეგ ლიცენზიის მფლობელი შეიმუშავებს განვითარების გეგმას აღმოჩენის ექსპლუატაციისათვის, რომელიც ექვემდებარება მთავრობისა

და მისი სააგენტოების, ზოგ შემთხვევაში კი საკანონმდებლო ორგანოს დასტურს. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს განვითარების გეგმის ხარჯების ეფექტურობა წიაღისეულის დეფიციტთან, ინფრასტრუქტურის, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს გამოყენებასთან, ადგილობრივი შინაარსისა და დასაქმების დებულებებთან მიმართებით მის პოლიტიკურ მიზნებთან თანმიმდევრულობა. დამატებით, გეგმა უნდა ითვალისწინებდეს პროექტის ადგილის საბოლოო დატოვება, რაც მოიცავს დასუფთავებასა და აღდგენით სამუშაოებს.

ხელისუფლებამ გეგმები უნდა მიმოიხილოს საფუძვლიანად, დროულად და ნებისმიერ სახელშეკრულებო ვალდებულებასთან შესაბამისობით. აღნიშნული მოითხოვს შესაბამის ტექნიკურ ექსპერტიზას, საჭირო დროს და ეფექტური დადასტურების პროცესს, რომელსაც ახასიათებს შესაბამის სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის ურთიერთშეთანხმებული ქმედებები (პროექტის განვითარების გეგმის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების თაობაზე იხილეთ მე-5 პრინციპი, ხოლო ადგილობრივ შინაარსსა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, იხილეთ მე-10 პრინციპი).

ფიზიკური წიაღისეულის ანგარიშების შენარჩუნება

ფიზიკური წიაღისეულის საფუძვლის შენარჩუნება - წარმოების მოცულობების, დადასტურებული რეზერვებისა და გაურკვევლობის ფარგლების, აღმოჩენილი წიაღისეულისა და დარჩენილი მოკვლევითი პოტენციალის ქრილში - წარმოადგენს ინდუსტრიის პოლიტიკის შექმნისა და რეგულაციების დადგენის მნიშვნელოვან საფუძველს. აღნიშნული ანგარიშები მოპოვებითი სამუშაოების შემოსავლებსა და ხარჯებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ერთად წარმოაჩენს, თუ რა ოდენობით შემოსავალს უნდა ელოდოს მთავრობა მომავალში, რამდენი უნდა შეინახოს და რა იქნება მოკვლევითი საქმიანობის ტემპი. საბოლოოდ, ეს ეხმარება მთავრობას, მაქსიმალური სარგებელი მიიღოს წიაღისეულის საფუძვლის დამუშავებით.

კარგი გარიგების დადება

IV პრინციპი - საგადასახადო რეჟიმი და სახელშეკრულებო პირობები

გათვლილი უნდა იყოს ცვალებად გარემოებებზე და ხელისუფლებას საშუალებას უნდა აძლევდეს, რომ სრულად მოახდინოს მისი წიაღისეულის რეალიზაცია საჭირო ინვესტიციის მოზიდვით

წიაღისეულის განვითარება წარმოშობს სამუშაო ადგილებსა და სხვა შემოსავლებს. თუმცა, მისი ძირითადი სარგებელი ხელისუფლებისთვის შემოსავლების შექმნაა მოქალაქეების განვითარებისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად. აღნიშნული შემოსავლების რეალიზაცია მოითხოვს კარგად დაგეგმილ ფისკალურ სისტემას, რომელიც ითვალისწინებს მოპოვებითი წიაღისეულის ბუნებას, მისი ექსპლუატაციისთვის თვისობრივად მნიშვნელოვან ბუნდოვანებასა და ხელისუფლების კომპეტენციას.

სექტორის მნიშვნელოვანი მახასიათებლები მოიცავენ:

- ძირითადი “ქირის გადასახადებს”, რომლებიც წარმოადგენენ ხარჯების ასანაზღაურებლად საჭირო მოსაკრებლის მიღმა არსებულ მოსაკრებელს; ასევე, ინვესტორისათვის ინვესტიციის განსახორციელებლად საჭირო მოსაკრებლის ტარიფის მინიმუმის მიცემას;
- წიაღისეულის დეპოზიტების ამონურგადობას;
- ხელისუფლებასა და პოტენციურ ინვესტორებს შორის ინფორმაციის ასიმეტრიულობას;
- ექსპლუატაციისათვის საჭირო წინასწარ გასაღებ მაღალ ხარჯებსა და ხანგრძლივ პერიოდს, რომელიც მოითხოვს გრძელვადიანი ინვესტიციის განხორციელებას ცვალებადი ბაზრის, გეოლოგიური და პოლიტიკური მდგომარეობის რეჟიმში;
- ფისკალური კონტროლის მიზნებისათვის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გარემოს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას (განურჩევლად იმისა, ინვესტორები კერძო სექტორის თუ საჯარო სექტორის მოქმედი პირები არიან).

აღნიშნულ გარემოსთან დასაპირისპირებლად, მთავრობებმა უნდა შექმნან ისეთი ფისკალური სისტემები, რომლებიც შექმნიან მათი წიაღისეულისათვის საჭირო ძლიერ შემოსავლებს, ხოლო ამ შემოსავლების მისაღებად დაადგენენ გონივრულ ვადებს, გაითვალისწინებენ ბუნდოვანებას და რისკებისა და მოგებისათვის დამახასიათებელ კომპრომისს; თუმცა, ამავდროულად, მოიზიდავენ წიაღისეულის გასავითარებლად საჭირო კაპიტალსა და ინვესტიციას, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული განვითარება გარანტიით იქნება უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, ქვეყნებმა უნდა გაითვალისწინონ ინდივიდუალური იურიდიული ტრადიციები და კონსტიტუციური ფარგლები, რომლებიც კარნახობენ საკუთრებისა და საგადასახადო სისტემის კონკრეტულ მიმართულებას.

საგადასახადო რეჟიმის ფუნქციის და არა ფორმის გათვალისწინება

აღნიშნული იმპერატივების თანახმად, განვითარებად ქვეყნებში ფისკალური რეჟიმის გაუმჯობესება მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: როიალტიზე ან პროდუქციაზე დაფუძნებულ სხვა გადასახადს, რომელიც წარმოების არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფოში წარმოშობს

შემოსავლის მინიმალურ ნაკადს; და ასევე, მოგების წილისა და დარჩენილი ქირების ამოღების მექანიზმს.

მიუხედავად იმისა, რომ ფისკალურ რეჟიმებს განსხვავებული ტერმინოლოგიები და სამართლებრივი ფორმები აქვთ, უმეტესობა მოიცავს ორ ელემენტს. “გადასახადისა და როიალტის” (“Tax and Royalty”) სისტემებში, რომლებიც გამოიყენებიან როგორც სამთო ისე ნავთობის სექტორში, ინვესტორი როიალტის უხდის ხელისუფლებას შედეგზე დაყრდნობით და ექვემდებარება მოგებაზე გათვლილ ჩვეულებრივ საშემოსავლო დაბეგვრას. “წარმოების გაზიარების” (“Production Sharing”) სისტემის შემთხვევაში, რომელიც ძირითადად გამოიყენება ნავთობის სექტორში, თუმცა შესაძლოა მისი სამთო სექტორში გამოყენებაც, შემოსავლის ნაწილი ინახება ინვესტორის ან ხელშეკრულების ხარჯების დასაფარად (“ნავთობის ხარჯი”) ხოლო დარჩენილი ნაწილი (“ნავთობის მოგება”) იყოფა ინვესტორსა და მთავრობას შორის. მომსახურების ხელშეკრულებები წარმოადგენენ ზემოხსენებული ორი ფისკალური სისტემის ალტერნატივას. ამ შემთხვევაში, მთავრობებმა შესაძლოა, გასცენ ექსპლუატაციის უფლებები სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებზე, რომლებიც სანაცვლოდ დებენ მომსახურების ხელშეკრულებას მესამე მხარესთან. არსებობს ასევე შერეული სისტემები.

მიუხედავად მრავალფეროვანი სახელშეკრულებო ფორმისა და ნომენკლატურისა, ამ სტრუქტურების თითოეული სისტემა შესაძლოა, ითვალისწინებდეს მოგებასა და წარმოებაზე დაფუძნებულ ელემენტებს. თითოეული სისტემა შესაძლოა შეიქმნას მსგავსი შემოსავლების მისაღებად. ხელისუფლების მიზანია, უზრუნველყოს ინვესტორსა და სახელმწიფოს შორის გადასახადების გადახდასთან დაკავშირებული რისკებისა და ვადების გადანაწილება იმგვარად, რომ ეს შესაბამისობაში მოდიოდეს მთავრობის განვითარების სტრატეგიასთან და მოქალაქეებისთვის მაქსიმალურად ზრდიდეს საბოლოო ღირებულებას.

როიალტების გამოყენება

როიალტი ან მისი წარმოების-გაზიარების ექვივალენტი, მთავრობას შემოსავლის ნაკადის გარანტიას აძლევს წარმოების დასაწყისში. ასევე, უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო წიაღისეულის სანაცვლოდ და მისი მოპოვების სოციალური ხარჯების დასაფარად, მინიმუმ, ანაზღაურებას მიიღებს. თუ პროექტი ვერ ინარჩუნებს გონივრულ როიალტის, რათა დაფაროს მათი ხარჯები, ძალიან ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტი კარგი გარიგების შედეგი იყოს, რამეთუ ქვეყანა ვალდებული იქნება გასცეს არა განახლებადი წიაღისეული ყოველგვარი ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე.

როიალტებს ესაჭიროებათ შედეგის ზუსტი საზომი, კარგად განსაზღვრული წესები ვადებთან დაკავშირებით და ბაზრის ღირებულების კარგი საზომები. როიალტებს, რომლებიც იძლევიან ხარჯების გამოქვითვის საშუალებას, სხვაგვარად მოგების გადასახადი ეწოდებათ. როიალტის დაკავშირება ზოგიერთ საერთაშორისო და საჯაროდ გაცხადებულ ფასებთან, თუ აღნიშნული ფასები ხელმისაწვდომია, უფრო ეხმარება ბაზრის ღირებულების საზომს ვიდრე მეტად ტრადიციული გამოთვლები, რომლითაც ხდება წარმოების მომენტამდე არსებული ხარჯების შეჯამება.

საშემოსავლო გადასახადისა და ქირის დაბეგვრის წესის განსაზღვრა

სხვა სახის მოსაკრებელს წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადი (“მოგების გადასახადი”). “გადასახადისა და როიალტის” სისტემაში იგი წარმოადგენს ჩვეულებრივ ზოგადად გავრცელებულ კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს - წილზე საშემოსავლო გადასახადს. როგორც წესი, აღნიშნული სახეს იცვლის, რათა მხედველობაში მიიღოს სექტორის სპეციფიკური მახასიათებლები და შეამციროს ბოროტად გამოყენების ფაქტები. ზოგჯერ, რეჟიმები უფრო მაღალ გადასახადებს იყენებენ, რათა ქირის გადასახადი დაბეგრონ. წარმოების-გაზიარების სქემის გამოყენებით მთავრობამ შესაძლოა, მიიღოს იგივე შედეგი, რომელსაც იგი მიიღებდა “გადასახადისა და როიალტის” სისტემის გამოყენებით, თუ იგი შეარჩევს “ნავთობის მოგების”, ან “ბუნებრივი აირის მოგების” კონკრეტულ წილს და ხარჯების ანაზღაურების ისეთ ტარიფს (“ნავთობის ხარჯი” ან “ბუნებრივი აირის ხარჯი”), რომელიც მთავრობისთვის მისაღები ოდენობის ექვივალენტი იქნება.

მოგების გადასახადი წარმოშობს მნიშვნელოვან საზიარო რისკს მთავრობასა და ინვესტორს შორის. აღნიშნულ შემთხვევაში, მთავრობას შესაძლებლობა აქვს წილი მიიღოს მზარდ და ნაყოფიერ ინვესტიციაში, ხოლო ინვესტორი დაკულია დანაკარგებისა და დაბალი შემოსავლებისგან.

როიალტისგან განსხვავებით საშემოსავლო გადასახადი ან მისი ექვივალენტი მოითხოვს ხარჯების დათვლას. კომპანიების მიერ გასაჯაროებული ხარჯები ხშირად მარტივად მანიპულირებადია, რადგან აღნიშნული ხარჯები ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის საქონლისა და მომსახურების მიწოდების შედეგად დგება. გარდა ამისა, ფინანსირების ფორმა გავლენას ახდენს მთავრობის შემოსავალზე, ვინაიდან გადაჭარბებული ვალის კაპიტალიზაცია ინვესტორს შემოსავლის დაკარგვას. თუმცა, საფუძვლიანი აუდიტისა და კონტროლის, ასევე, წერილობითი დებულებების ან რეგულაციების გარეშე, არსებობს სიცხადის მნიშვნელოვანი ნაკლებობა იმასთან დაკავშირებით მიიღებს თუ არა მთავრობა მოგების გადასახადს. გარდა ამისა, დიდი ოდენობით წინასწარი ინვესტიცია დამახასიათებელია მოპოვებითი ინდუსტრიისათვის. თუ იგი ერთობლიობაში მოდის ძვირადღირებულ ან სწრაფად ამორტიზირებად ინვესტიციასთან, ადგილი აქვს დასაბეგრი შემოსავლიდან დიდი ოდენობის გამოქვითვას, რაც განხორციელების პროცესში მნიშვნელოვნად აყოვნებს საშემოსავლო გადასახადების მიღებას.

ძვირადღირებულ პროექტში მოგებამ შესაძლოა, მოიცვას ქირის მნიშვნელოვანი ოდენობა. მთავრობამ შესაძლოა, დაადგინოს დამატებითი ქირის გადასახადი ან დამატებითი გადასახადი ფულადი სახსრების ნაკადზე რის შედეგადაც იგი მიიღებს მოგების მეტ წილს, ვიდრე ჩვეულებრივი საშემოსავლო გადასახადით მიიღებდა მოგების გადასახადის მაღალი ტარიფებით.

მთავრობას შეუძლია, შექმნას წარმოების გაზიარების სისტემა, იმისათვის, რომ მიაღწიოს იმავე შედეგს. ამ შედეგის მიღწევა შესაძლებელია პროექტის საბოლოო მომგებიანობის გარკვეულ ზომებზე დაყრდნობით ნავთობის მოგებაში მთავრობის წილის გაზრდით. მთავრობას შეუძლია, ნებისმიერი ეს სისტემა ჩაანაცვლოს გარკვეული დანაწევრებული გადახდებით.

მაგალითისთვის, კონკურსის ლიცენზიის განაწილების პროცესში წინასწარი ბონუსური გადასახადი შეიძლება წარმოადგენდეს სატენდერო წინადადების ელემენტს მაშინ, როცა ყველა სხვა ფისკალური პირობა ფიქსირებულია.

საგადასახადო შეღავათებისა და გამარტივებული საგადასახადო რეჟიმის თავიდან აცილება

ინვესტორები ხშირად ითხოვენ მთავრობებისგან პოტენციურ ან ახლად აღმოჩენილ წიაღისეულზე სპეციალური შეღავათების გაცემას გადასახადების დროებით შეჩერების ან აღმოფხვრის ("Tax Holiday"), კაპიტალური დანახარჯების დაჩქარებული წესით ანაზღაურების ან როიალტის ან მოგების ტარიფების შემცირების ფორმით. მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს ამგვარი შეღავათების გაცემისგან. თუ პროექტს არ შეუძლია, დაფაროს როიალტი ან ინვესტიციაში წილობრივ მონაწილეობაზე დარიცხული ჩვეულებრივი გადასახადი, როგორც წესი, ნაკლებად სავარაუდოა, ამგვარი ინვესტიცია ქვეყნისათვის ხელსაყრელი გარიგება იყოს. შეცვლილი გარემოებები, მაგალითისთვის, გაზრდილი საქონლის ფასები ან ახალი ტექნოლოგია, ხშირად გარდაქმნიან ერთ დროს არაეკონომიკურად მიჩნეულ პროექტებს განხორციელებად პროექტებად მთავრობის სუბსიდირების გარეშე. არ არის საჭირო ყველა წიაღისეულის განვითარება ნებისმიერ დროს; უფრო მეტიც, ზოგიერთმა წიაღისეულმა შესაძლოა, ვერასოდეს შეძლოს განვითარება.

თუ ძირითადი ელემენტები ადგილზე არიან - როიალტი, მოგების გადასახადი და ზოგიერთი ქირის გადასახადი, მთავრობა იხიერებს ზოგიერთ შემთხვევაში დაკისრებული ბევრი სხვა გადასახადის გამარტივებით ან აღმოფხვრით. დამატებული ღირებულების გადასახადმა (დღგ) უნდა იმუშაოს დანიშნულებისამებრ, როგორც საქონლის ადგილობრივ მოხმარებაზე და არა როგორც ინვესტიციაზე დადგენილმა გადასახადმა. მომპოვებელმა კომპანიებმა არ უნდა გადაიხადონ დღგ მათ მიერ ექსპორტირებულ პროდუქტზე. გარდა ამისა, იმპორტის გადასახადი ხელს არ უნდა უშლიდეს ინვესტიციას. ფისკალური სისტემები, რომლებიც ძალიან დამოკიდებულნი არიან ამგვარ გადასახადებზე ან მიწოდების სხვა ფიქსირებულ საფასურებსა და გადასახადებზე, შესაძლოა უმართავები გახდნენ და ისეთი მოულოდნელი უარყოფითი შედეგები ჰქონდეთ, რომლებიც გადაწონიან წინასწარი შემოსავლების თაობაზე გაცემულ მაცდურ დაპირებას. ხელისუფლების ორგანოებმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციონ საერთაშორისო საგადასახადო სისტემებს, რათა თავიდან აიცილონ არა-რეზიდენტი კორპორაციების მიერ წიაღისეულის განვითარებისათვის დადგენილი გადასახადებისათვის გვერდის ავლა. მთავრობებმა არა-რეზიდენტებს უნდა დაუწესონ გონივრული და ასევე უმჯობესია ერთიანი ტარიფები ისეთ გადასახადებზე როგორებიცაა დივიდენდები, ინტერესი, მომსახურების საფასურები და როიალტები. უცხოური სანარმოებისაგან საშემოსავლო გადასახადის მოკრების ძლიერი მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, გადასახადების წყაროსთან დაკავება ხშირად მასპინძელ ქვეყანაში მოპოვებითი სამუშაოებით მიღებული მოგების უზრუნველყოფის ყველაზე სარწმუნო გზაა. საერთაშორისო საგადასახადო ხელშეკრულებებმა შესაძლოა შეზღუდონ წყაროსთან დაკავება და არა-რეზიდენტებზე სხვა გადასახადების გავრცელება. მთავრობებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ არსებული

ხელშეკრულებები, ხოლო მომავალში შემოთავაზებულ ხელშეკრულებებში ამგვარი დებულებების არსებობის შემთხვევაში თავიდან აირიდონ ან შეცვალონ ისინი.

მასპინძელი ქვეყნის წიაღისეულზე უფლების გასხვისების შედეგად მიღებული კაპიტალის მოგების გადასახადი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის საჭირო გადასახადია. ამ მოგების მისაღებად, კერძოდ, როდესაც უფლების გადაცემა ხორციელდება უცხოური ჰოლდინგური კომპანიის დონეზე დადებული გარიგებებით, საჭიროა სწორი კანონმდებლობა და ანგარიშგების მოთხოვნები; ასევე, საგადასახადო მიზნებისთვის საჭიროა იმის გათვალისწინება, თუ რა კვალიფიკაცია მიენიჭება მოგვიანებით იმ გადახდებს, რომლებმაც ხსენებული მოგება მოიტანეს.

მთავრობის შემოსავლების გაზრდის მიზნით სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის თავიდან არიდება

ფისკალური რეჟიმი მთავრობისთვის უკვე წარმოშობს წიაღისეულიდან მიღებულ შემოსავლებს, თუმცა მთავრობებს ხშირად სურთ წილობრივ მონაწილეობაში შევიდნენ პროექტში მისი ფორმის გათვალისწინებით, რათა გაზარდონ სახელმწიფოს, როგორც წილობრივად მონაწილე ინვესტორის ფისკალური ტვირთი. მთავრობამ შესაძლოა, გაითვალისწინოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა სხვა მიზნებისთვის, როგორებიც არის: ქირის ოდენობის ამოღების მეორე საუკეთესო საშუალება (განსაკუთრებით, როდესაც ძლიერი ინფორმაციული ასიმეტრია ან შემლუდული სადამკვირვებლო შესაძლებლობებია); სახელმწიფო ქონების ინვესტირების საშუალებები (თუმცა, ეს შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკური მრავალფეროვნების მიზანს); კორპორაციულ გადანაწევტილებებზე პოტენციურად ზეგავლენის მოხდენის საშუალება (თუმცა, შესაძლოა რეგულაცია უფრო მისაღები იყოს); ან ბიზნესის პრაქტიკებთან დაკავშირებული ცოდნის გადაცემის საშუალებები (სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წიაღისეულის კომპანიების შესახებ იხილეთ მე-6 პრინციპი).

გამჭვირვალობის, სტაბილურობისა და გამძლეობის დანერგვა

გამჭვირვალე და ერთგვაროვანი წესები აზღვევენ ინვესტორს, ამცირებენ კორუფციის საფრთხეებსა და ინდივიდუალური ინვესტორების მიერ სპეციალური მოპყრობის მოთხოვნებს. ერთგვაროვნება ასევე ხელს უწყობს ადმინისტრირებას. ერთგვაროვნება არ ნიშნავს, რომ ახალი პროექტები აუცილებლად იმავე წესებსა და სახელშეკრულებო დებულებების ჭრილში უნდა იქნან განხილულნი, რომლებსაც უკვე არსებული პროექტები ექვემდებარებიან, ან რომ მთავრობებმა უარი უნდა თქვან მოქნილობაზე და შეცვალონ საგადასახადო ტარიფები, ძველი პროექტებისთვისაც კი. ქვეყნები ხშირად ცვლიან კომპანიებისთვის (მოგების გადასახადი) და ფიზიკური პირებისთვის (საშემოსავლო გადასახადი) დადგენილ საგადასახადო ტარიფებს. აუქციონები მთავრობებისთვის წარმოაჩენენ დეპოზიტებში მოსალოდნელ ღირებულებებს შორის განსხვავებების ნაწილს. ერთგვაროვნება უნდა გავრცელდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიების დაბეგვრაზე: მათზე უნდა ვრცელდებოდეს იგივე საგადასახადო პირობები, რომლებიც ვრცელდება კერძო კომპანიებზე.

ინვესტორებმა შესაძლოა მოითხოვონ სახელშეკრულებო გარანტიები სტაბილურობასთან დაკავშირებით. ბევრი ქვეყანა არ ადგენ სახელშეკრულებო გარანტიებს, მაგრამ თუ მაინც განიხილავს, მთავრობამ უნდა შეზღუდოს დებულებები იმგვარად, რომ სახელმწიფომ შეინარჩუნოს სხვა სფეროების, როგორებიცაა შრომა, ჯანდაცვა და თავდაცვა, გარემო და უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები - დარეგულირების თავისუფლება. გარდა ამისა, მთავრობამ თავიდან უნდა აირიდოს ასიმეტრიული სიტუაციები, რომლებშიც, ერთის მხრივ, კომპანიამ დახურვის მუქარის შედეგად შესაძლოა მოითხოვოს დათმობაზე წასვლა, თუმცა მეორეს მხრივ, მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა, რომ სარგებლის უფრო მეტი წილი აქციოს რეალობად თუ კი პროექტი ძალიან წარმატებული აღმოჩნდება (სამართლებრივი ჩარჩოს თაობაზე იხილეთ 1-ლი პრინციპი, ხოლო გამჭვირვალობის თაობაზე - მე-2 პრინციპი).

კომპეტენტური საგადასახადო ადმინისტრირებისა და გადასახადებისათვის თავის არიდებასთან დაკავშირებული წესების დადგენის უზრუნველყოფა

ყველა მთავრობა დგას გადასახადების ადმინისტრირებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე. ზოგიერთი გამოწვევა ცუდად დაგეგმილი სისტემის შედეგია, რომელიც საგადასახადო აგენტს არ ანიჭებს ადეკვატურ უფლებამოსილებას შეებრძოლოს ან შეაჩეროს გადასახადებისთვის თავის არიდების ცუდი პრაქტიკები. საგადასახადო წესების დანერგვა ხელს შეუწყობს გადასახადებისათვის თავის არიდების ზოგადი მიზეზების მოგვარებას. ამგვარმა წესებმა შესაძლოა დაადგინოს წრიული საზღვრები და შეზღუდოს გამოქვითვები გარკვეულ ურთიერთდაკავშირებულ პირებს შორის განხორციელებული გადარიცხვებიდან, როგორებიცაა, მაგალითად, მართვის გადასახადები, დიდი ოდენობით ინტერესის სახდელი და დანაკარგების დაზღვევა (პეჯირება). თუმცა პრობლემა ნაწილობრივ ორგანიზაციულია და ნაწილობრივ ეხება ზოგადი შესაძლებლობების შეზღუდვას. ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების პროცესმა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ამ კონკრეტულ შემთხვევაზე მორგებული ფისკალური ზომები, შესაძლოა ადმინისტრატორებსა და მოლაპარაკებაში ჩართულ პირებს დამატებითი ტვირთები დააკისროს. ქვემოთ ჩამოთვლილი ზომების მიღება დაეხმარება საგადასახადო ორგანოებს: ინტეგრირებული ინფორმაცია და საბუთების წარდგენის/შენახვის სისტემები; როიალტების, სხვა გადასახადებისა და წარმოების გაზიარებიდან მიღებული შემოსავლების აკრეფის ფუნქციების ცენტრალიზაცია; კომპანიებისათვის ერთიან გამჭვირვალე და ცენტრალურ ანგარიშზე გადახდის განხორციელების მოთხოვნა; შემოსავლების მოგროვებაში ფიზიკური ბედამხედველობის დანერგვა; და ნაღდი წესით გადახდის აღმოფხვრა. მთავრობებს შეუძლიათ, ადგილობრივი შესაძლებლობების შენებისას, შემოიყვანონ უცხოელი ექსპერტები ზოგიერთი საერთო ტიპის კომპეტენციაში არსებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. მაგალითად მთავრობას შეუძლია ხელშეკრულება დადოს საერთაშორისო საფინანსო ბულალტრულ კომპანიებთან რათა უზრუნველყოს ვალდებულებების შესრულება და გადასახადების სრულად შეგროვება (ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულებების განაწილების შესახებ იხილეთ მე-3 პრინციპი).

V პრინციპი - მთავრობამ უნდა შექმნას ადგილობრივი სარგებლის მიღების შესაძლებლობები და პასუხისმგებლობა აიღოს გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და წიაღისეულის მოპოვების პროექტების სოციალური ხარჯების შემცირებისა და გაქვითვისთვის

წიაღისეულის პროექტები მოითხოვს მნიშვნელოვან გარემოს დაცვით და სოციალური ხასიათის საფასურის გადახდას. ამ საფასურს ხშირად არაპროპორციულად იხდიან მოპოვებით სამუშაოებთან ახლოს მყოფი პირები. თუმცა, მოპოვებით პროექტებს ასევე გააჩნიათ იმის პოტენციალი, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სარგებელი მოუტანონ სამუშაო ადგილების შექმნით და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაზრდით სულ მცირე, სამუშაოების მიმდინარეობის ვადით.

წიაღისეულის მართვა მოითხოვს ხარჯების მინიმალურამდე შემცირებას და სარგებლის გაზრდას უარყოფითი ზეგავლენით დაზარალებული მოსახლეობისათვის. თუ ხარჯების აღმოფხვრა ვერ ხერხდება, მთავრობამ დაზარალებულებს ადეკვატური კომპენსაცია უნდა გადაუხადოს. როგორც წესი, კომპენსაციის მიზანი მოპოვების შედეგად ყველაზე მძიმედ დაზარალებული პირებისათვის საარსებო პირობების გაუმჯობესება უნდა იყოს.

ადგილობრივი თემის ჩართვა გადაწყვეტილების მიღებისა და შეფასების პროცესში

ადგილობრივი თემები, ადგილობრივი მთავრობები და უფრო ფართო საზოგადოება პროექტის განვითარებამდე უნდა ჩაერთოს პროექტის მიმდინარეობის პროცესში. ერის წიაღისეულის თაობაზე საერთო ხედვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ძალისხმევა უნდა იქნას გაღებული საზოგადოების ინფორმირებულობისა და მისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობისათვის; ხოლო ხედვის თაობაზე მოსაზრება უნდა წარადგინონ დამოუკიდებელმა მკვლევარებმა. ჩართულობა საზოგადოების წევრებს ეხმარება მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე მომავლის დაგეგმარებასა და იმის გაცნობიერებაში, თუ რა ზეგავლენას იქონიებს მათზე პროექტი. ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნას წვლილი შეაქვს ზიანის შემცირებასა და სტრატეგიის გაფართოებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავს იჩენს ანტაგონიზმისა და კონფლიქტის რისკი.

თუმცა, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ შესაძლებელია ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები შეუთავსებელი აღმოჩნდეს მთლიანად სახელმწიფოს ინტერესებთან. როდესაც გადაწყვეტილება მიიღება ადგილობრივი ჯგუფების ხარჯზე, თუმცა დანარჩენი სახელმწიფოსათვის უფრო დიდი სარგებლის მოტანის მიზნით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ამ ჯგუფებისთვის მიყენებული ზიანის აღდგენა (რემედიაცია) (ეროვნული სტრატეგიის ნაწილის ამოღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ იხილეთ 1-ლი პრინციპი).

საკუთრების უფლებების დადგენა და განმარტება

მთავრობამ, ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, მოქალაქეებთან შეთანხმებით უნდა დაადგინოს საკუთრების უფლებები ნიადაგის ქვეშ არსებულ სიმდიდრეზე და ეს უფლებები გადასცეს შემდგომი შემოსავლების მიღების მიზნით. ნიადაგის ქვეშ არსებულ სიმდიდრეს როგორც წესი, თუმცა არა ყოველთვის, სახელმწიფოს ყველა მოქალაქის სახელით საკუთრების უფლებით ფლობს სახელმწიფო. მიუხედავად ამისა ადგილობრივი თემები შესაძლოა, ფლობდნენ მოპოვების შედეგად დაზიანებულ მიწას, წყალს ან სხვა ქონებას, ან სულ მცირე ამ მიწაზე, წყალს ან სხვა ქონებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. აღნიშნული ასევე ეხება ისეთ თემებს, რომლებიც არ მიიჩნევიან ადგილობრივად პროექტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, თუმცა მაინც იყენებენ ბუნებრივ კონტექსტს, როგორცაა მდინარე და სანაპირო. მთავრობამ შესაბამისად, უნდა აღმოფხვრას მიყენებული ზიანი სწრაფად, სანდოდ და გამჭვირვალედ, ადამიანის უფლებათა დაცვის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

თუ მთავრობა ვერ შეძლებს გონივრული კომპენსაციის გადახდას ან ვერ უზრუნველყოფს წილობრივ მონაწილეობას ეროვნული სარგებლის განაწილებაში, ამან შესაძლოა გამოიწვიოს მოქალაქეების გაღიზიანება, მოპოვებითი პროექტების ჩაშლა, ან თუნდაც კონფლიქტი. აღნიშნულმა ასევე შესაძლოა, გაზარდოს საბიუჯეტო ხარჯები, რომელიც მოგვიანებით თავს იჩენს დაზარალებულ თემებში მოწყვლადი ხალხისთვის დახმარების გალების სახით. მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს სახელმწიფო შემოსავლების უფრო დიდი (უარყოფითი ბეგავლენის სანაცვლოდ საჭირო კომპენსაციაზე მეტი) ნაწილის წიაღისეულით მდიდარი რეგიონისთვის გადაცემისგან, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც არსებობს სპეციალური ეროვნული მემკვიდრეობითი ვალდებულებები, მაგალითად აბორიგენი მოსახლეობის ან ისტორიულად უგულვებელყოფილი ადგილების მიმართ (შემოსავლის განაწილებაზე იხილეთ მე-7 პრინციპი).

მოპოვების უარყოფითი შედეგების გაზომვა და შემცირება

მთავრობამ უნდა დაადგინოს პოტენციურად უარყოფითი ეფექტები სპეციალური მოპოვების უფლების გაცემამდე, რათა დააზუსტოს მოპოვების შედეგად მიიღებს თუ არა ქვეყანა კარგ გარიგებას. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, უკეთესი იყოს სამუშაოების გადადება მართვის ან ტექნოლოგიების გაუმჯობესებამდე, ან გავლენის უკეთ შეფასებამდე (გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის თაობაზე იხილეთ 1-ლი პრინციპი, ხოლო უფლებების განაწილების თაობაზე იხილეთ მე-3 პრინციპი).

თუ მთავრობა გასცემს უფლებებს, მან უნდა დაგეგმოს მოპოვების უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა. კერძოდ, მთავრობამ კომპანიები უნდა დაავალდებულოს, რომ მოიპოვონ ნებართვა და წარადგინონ საგანგებო მდგომარეობის შემთხვევისთვის შემუშავებული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმები უნდა მოიცავდნენ მონყობილობის ხელმისაწვდომობას და შესაძლებლობას, გაუმკლავდეს ისეთ უბედურ შემთხვევებს, როგორცაა ნავთობის დაღვრა. გეგმას თან უნდა ახლდეს პროექტის არსებობის პერიოდში მასზე დაკვირვებისთვის საჭირო საშუალებები. აღნიშნული მხარეებს საშუალებას მისცემს, გაყვნენ გეგმას და გამოავლინონ პროექტის სამომავლო და მოულოდნელი შედეგები. შეუძლებელია ყველა პოტენციური ხარჯის წინასწარ განსაზღვრა. ამიტომ, დეველოპერების დაავალდებულება, რომ ადგილზე იქონიონ გარემოსა და სოციალური ზეგავლენების მონიტორინგისა და მართვისთვის საჭირო სისტემები, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პროექტის დაგეგმარებისას განხორციელებული შეფასებები.

მთავრობა პასუხისმგებელია გარემოს დაცვითი სტანდარტების დადგენასა და აღსრულებაზე (სასურველია ისეთი საერთაშორისო სტანდარტების დადგენა, როგორცაა ეკვადორის პრინციპები), ხოლო მომპოვებელი კომპანია, როგორც წესი, საუკეთესო პოზიციაშია, რომ შეამციროს გარემოსთვის მიყენებული ზიანი. თუ მთავრობა არ დაადგენს, რომ სამუშაოების გარემოს დაცვითი შედეგების მხედველობაში მიღება დათმობაზე წასვლის წინაპირობაა, რომლის დარღვევისთვისაც გათვალისწინებული იქნება ჯარიმები, კომპანიებს არ ექნებათ საკმარისი მოტივაცია აღნიშნული შედეგების გასათვალისწინებლად. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ზიანის აღმოსაფხვრელად საჭირო ხარჯების გაღება თავად მთავრობის ან კომპანიის მიერ, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ პროექტი არამომგებიანი გახდა, რაც შესაძლებელია მოხდეს პროექტის ვადის ამონურვამდე გაცილებით ადრე, კომპანია შესაძლოა გავიდეს ან გაიყიდოს. შესაძლებელია კონკურსის შედეგად შერჩეული დამოუკიდებელი კონტრაქტორების დაქირავება გარემოს დაცვითი სამუშაოების, როგორცაა სამელიორაციო სამუშაოები, ჩასატარებლად.

პროექტის გარშემო არსებულმა უსაფრთხოების ზომებმა შესაძლოა, წამოჭრას ადამიანის უფლებების დაცვის საკითხები როდესაც კერძო ან სახელმწიფო უსაფრთხოების ძალები იყენებენ გადამეტებულ ძალას. ოპერაციები უნდა მოიცავდნენ ძლიერ თავდაცვასა და სამართლებრივი რესურსების მექანიზმებს იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს ადამიანის უფლებების შელახვას.

კუსტარულ სამთო სამუშაოებს ცუდი რეპუტაცია აქვთ ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ასევე გარემოზე ზეგავლენის მხრივ. თუმცა, არაფორმალური ინდუსტრია ასევე წარმოშობს შემოსავლებს გაჭირვებაში მცხოვრები მოსახლეობისათვის. მთავრობამ უნდა ეცადოს, რომ დაარეგულიროს ეს ინდუსტრია და

ფორმალური სახე მისცეს, შეამციროს კუსტარული სამთო სამუშაოების უარყოფითი ზეგავლენები და ამავდროულად შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს გაჭირვების აღმოფხვრისათვის საჭირო სიკეთეები. ამის მისაღწევად, მთავრობამ შესაძლოა, მიმართოს კოოპერატივებს და საზოგადოებაზე დაფუძნებულ სხვა საშუალებებს, და ამავდროულად წაახალისოს საერთო ეკონომიკური მრავალფეროვნება რათა სიღარიბის შესამცირებლად შეიქმნას უფრო მეტი შესაძლებლობები.

და ბოლოს, მთავრობამ განცალკევებულად და სწორხაზოვნად უნდა დაადგინოს და გადანაცვტილების მიღებისას გაითვალისწინოს მოპოვების სოციალური ზეგავლენა მონყვლად ან მარგინალიზებულ ჯგუფებზე, ვინაიდან ეს ჯგუფები ხშირად ფართო მხედველობის არეალის გარეთ რჩებიან.

მოპოვების შედეგად ადგილობრივი სარგებლის განვითარების შესაძლებლობების გამოყენება

მოპოვებით პროექტებს შეუძლიათ, წარმოადგინონ არსებითი ეკონომიკური და სოციალური შესაძლებლობები მეზობელი თემებისთვის. აღნიშნული, ისევე როგორ ხარჯები, უნდა გაითვალისწინონ ხელისუფლებებმა მოკვლევის ნებართვის გაცემის თაობაზე გადანაცვტილების მიღებისა და კომპანიების განვითარების გეგმებზე თანხმობის გაცემისას (მოპოვებითი ინდუსტრიის მომარაგების მიზნით მთელი ეკონომიკის მასშტაბით ბიზნესებისა და სამუშაო ძალის განვითარების შესახებ იხილეთ მე-10 პრინციპი).

განსაკუთრებით სამთო პროექტები წარმოშობენ ადგილობრივი მუშებისთვის პოტენციურ ტრენინგებსა და დასაქმების პირდაპირ შესაძლებლობებს. მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივ სამუშაო ძალას არ გააჩნია საჭირო უნარები რათა, პირდაპირი და ეფექტური მონაწილეობა მიიღოს, არსებობს ალბათობა იმისა, რომ მოპოვებითი ინდუსტრიის მუშებს დასჭირდებათ ადგილობრივი საქონელი და მომსახურებები, კერძოდ კვების, სასტუმროებისა და სხვა მომსახურების სფეროებში. მთავრობამ უნდა განიხილოს, თუ როგორ დაეხმაროს ადგილობრივ ძალისმხევეებს და წაახალისოს მომპოვებელი კომპანიები, გამოიყენონ აღნიშნული მომსახურებები.

მოპოვებით პროექტებს ასევე ესაჭიროებათ არსებითი ინფრასტრუქტურა, რომელსაც იმ რეგიონისთვის, სადაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა შენდება, მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. აღნიშნული სარგებლის უზრუნველსაყოფად, მთავრობამ კომპანიებთან განხილვით უნდა შექმნას მრავალ მომხმარებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული გადანაცვტილების მიღება დიზაინის შექმნის ეტაპამდე და კერძო სექტორის მონაწილეობით მოხდეს (ინფრასტრუქტურის განვითარების თაობაზე იხილეთ მე-9 პრინციპი).

ადგილობრივ მთავრობასთან კომუნიკაცია და მათი შესაძლებლობების გაძლიერება

ხშირად ადგილობრივი მთავრობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოპოვებითი ინდუსტრიების ზეგავლენის მართვის ნაწილში. სუსტი ადგილობრივი მთავრობა აფერხებს მომსახურების მიწოდებასა და მოპოვების პროექტების შედეგად დამდგარი ზიანის შემცირებას. თუ ადგილობრივი მთავრობა ცუდად ემსახურება თემს, ამან შესაძლოა დაძაბულობა შექმნას, რაც საფრთხეს შეუქმნის წიაღისეულის პროექტებს.

ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობების გაფართოება კომპანიებისთვისაც ხელსაყრელი საშუალებაა (ისევე როგორც დონორებისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის) ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩართულობის გასაპროექტებლად, მოსახლეობის სამომავლო გეგმების გააზრებისა და ამ ხედვების გათვალისწინებით შექმნილი პროექტების წარსადგენად. იმ შემთხვევაში თუ შესაძლებლობები ძალიან მწირია, კომპანიების მიერ მომსახურების მიწოდება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მცირე და საშუალო ხანგრძლივობის ვადებით (მთავრობის ინსტიტუტების, მათ შორის ადგილობრივი მთავრობის როლების შეფასების შესახებ იხილეთ 1-ლი პრინციპი, ხოლო წიაღისეულით მიღებული შემოსავლების ადგილობრივ მთავრობაზე ზეგავლენის შესახებ იხილეთ მე-7 და მე-8 პრინციპები).

VI პრინციპი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებს უნდა ეკისრებოდეთ პასუხისმგებლობა, უნდა ქონდეთ კარგად განსაზღვრული მანდატები და კომერციული ეფექტურობის მიზნები

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული წიაღისეულის მომპოვებელი კომპანიები წარმოადგენენ ამ ქონების პოტენციის განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. აღნიშნული საწარმოები მიმზიდველები არიან შემდეგი მიზეზის გამო: სახელმწიფო ქირის გადასახადის ამოღება იმ შემთხვევებში როდესაც კერძო კომპანიის დაბეგვრა არასაკმარისია; უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური და ბიზნეს პრაქტიკების ადგილობრივ კომპანიებში გადატანას; და ზეგავლენას ახდენენ ისეთი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე, როგორებიცაა ადგილობრივი კავშირების განვითარება მომპოვებელ სექტორსა და სხვა ინდუსტრიებს შორის. თითოეული ასეთი მიზანი შესაძლოა ხელსაყრელი იყოს სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტებში, თუმცა არაა აუცილებელი ერთდროულად, და შესაძლოა მოიცავდეს სავაჭრო გაქვითვას. გარდა ამისა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მომპოვებელი კომპანიის შესაბამისი როლები შესაძლოა შეიცვალოს მომპოვებლური სექტორისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების პარალელურად.

მიუხედავად აღნიშნული შესაძლებლობებისა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიები შესაძლოა, სახელმწიფოსათვის სარისკონი აღმოჩნდნენ თუ კი მათ გადაეცემათ შეუსაბამო როლები და ცუდად იმართებიან. უკიდურეს შემთხვევაში ამ კომპანიებმა შესაძლოა მოქალაქეებისთვის ღირებულების შექმნის ნაცვლად უფრო მეტი ზარალი მოუტანონ ქვეყანას. ამ ფენომენის ბევრი ისტორიული მაგალითი არსებობს.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიისთვის შესაბამისი როლის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის შექმნა საოპერაციო როლის შესასრულებლად (მაგალითად მოკვლევა, განვითარება და წარმოება დამოუკიდებლად ან ერთობლივი საწარმოს პარტნიორობის მეშვეობით) შესაძლოა სიკეთის მომტანი აღმოჩნდეს თუ კი ქვეყანაში არსებობს საკმარისი კომპეტენცია და კარგი მმართველობა. თუმცა, ერთ-ერთი ნაკლებობის შემთხვევაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიებმა, არაეფექტურობის ან აღმასრულებლების პირადი ინტერესების ნიადაგზე, შესაძლოა შეზღუდონ ან თუნდაც ამოწურონ მთავრობის შემოსავლები. გარდა ამისა, არსებობს შესაძლებლობის ხარჯები, როდესაც სახელმწიფო კაპიტალის ინვესტირება ხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიაში, სხვა ეროვნული მიზნების, როგორცაა ეკონომიკური მრავალფეროვნება, ხარჯზე (წესებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბების თაობაზე იხილეთ 1-ლი პრინციპი).

იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია ვერ ახერხებს საკმარისი კაპიტალური რისკისა და ექსპერტიზის შეთავაზებას გარკვეული როლისთვის, ხელისუფლებამ უნდა განიხილოს მოპოვებითი საქმიანობით დაკავებული უცხოური კომპანიები, რომლებიც აქციონერთა ან/და კონკურსის წნეხის წინაშე დგანან. თუ მთავრობა ისწრაფვის ეროვნული კომპეტენციის ზრდისაკენ, უცხოურ კომპანიებთან თანამშრომლობა ცოდნის გადაცემას შესაძლებელს გახდის.

კერძო სექტორის ჩართულობით მიღებული ბევრი სარგებელი ეფუძნება ვარაუდს, რომ სახელმწიფოს შეუძლია გონივრულად დაბეგროს მოგება და დაარეგულიროს კერძო კომპანიების საქმიანობა. თუ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ მთავრობის კომპეტენციის ზრდას და „ინდუსტრიაში გამავალი ფანჯრის“ როლი ითამაშონ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას შეუძლია ტექნიკური გამჭრიახობა და ინფორმაცია მიიტანოს სამთავრობო სააგენტოებამდე და ხელი შეუწყოს ამგვარი მართვის ფუნქციების ნიჭის განვითარებას (გადასახადებთან დაკავშირებით იხილეთ მე-4 პრინციპი).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებს შეუძლიათ, მხარი დაუჭიროს ადგილობრივი ინდუსტრიის ზრდას. კერძო და უცხოურმა მომპოვებელმა კომპანიებმა შესაძლოა, სარგებელი მოუტანონ ეროვნულ ეკონომიკას ადგილობრივი წარმოების

დაფინანსებით და ადგილობრივი სოციალური მოთხოვნების მართვით. მათი ოპერაციული გადანაცვლებები მოტივირებულია სარგებლის მიღებით - და ამ მხრივ, მათ შეიძლება უგულებელყონ სახელმწიფოსთვის მოპოვების ფართო არასაგადასახადო სარგებლები (და ხარჯები). რეგულაციამ შეიძლება ეს საკითხი მოაგვაროს, მაგალითად, კერძო კომპანიებისთვის ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობის დავალდებულებით. თუმცა, მთავრობამ შეიძლება, დაავალოს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას ხელი შეუწყოს აღნიშნულ ფართო ეკონომიკურ მიზნებს, შიდა მომარაგების ჯაჭვისა და ადგილობრივი ნიჭის ავზის წახალისებით, თუმცა ამგვარმა სტრატეგიამ შესაძლოა, შეამციროს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიების კომერციული ეფექტიანობა. გრძელვადიან პერსპექტივაში, მთავრობამ დროთა განმავლობაში უნდა მოითხოვოს და მხარი დაუჭიროს ადგილობრივი მიმწოდებლების გლობალურ კონკურენტუნარიანობას. სხვაგვარად, დაბალი ეფექტიანობა შეამცირებს მთავრობისთვის ხელმისაწვდომი შემოსავლების ოდენობას.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის მართველობითი როლების დადგენა

ოპერაციული როლების მსგავსად, მთავრობამ უნდა განსაზღვროს პოლიტიკის შემუშავებისა და მარეგულირებელი მმართველობითი როლები, როგორებიცაა გადასახადების შეგროვება, ოპერაციული უფლებების განსაზღვრა, ზედამხედველობა და კადასტრების მართვა (სამთავრობო ინსტიტუტების როლების განსაზღვრასთან დაკავშირებით, იხილეთ 1-ლი პრინციპი).

აღნიშნული არჩევნების გაკეთებისას, მთავრობამ უნდა მიაღწიოს კომპრომის ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებასა და თითოეული როლისთვის არსებულ საკმარის კომპეტენციას შორის. ადეკვატური სამთავრობო კომპეტენციის გათვალისწინებით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან ოპერაციული ხასიათის როლებს, უნდა გაიმიჯნოს მმართველობითი როლებისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი. იმ შემთხვევაში თუ სამთავრობო ინდუსტრიებს არ გააჩნიათ საკმარისი კომპეტენცია, მწირი გამოცდილებისა და რესურსების შერწყმა ერთ ორგანიზაციაში შესაძლოა, უფრო სწორი იყოს. თუმცა, მთავრობამ უნდა გათვალისწინოს ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი და გადაამოწმოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანიის ქმედებები. აღნიშნული გამოსავალი მოკლე ვადით არის მისაღები. მიუხედავად ამისა, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ოპერაციული საფრთხის შედეგად მიღებული ცოდნის გამოყენება სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებში კომპეტენციის დანერგვის მიზნებისათვის. აღნიშნული „გასვლის გეგმა“ უნდა დაინერგოს ნებისმიერი

სახელმწიფო ორგანიზაციის შექმნისას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მინიჭებულმა ინტერესებმა არ დააბრკოლონ ძალაუფლებების გადაცემა.

შემოწმებისა და დაბალანსების (Checks and Balances) დაფუძნება

თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას გადაცემული აქვს მართვის და ოპერაციული ხასიათის როლების ერთობლივი ჩარჩო, შემოწმებისა და დაბალანსების სისტემა ეხმარება გარდაუვალი ინტერესთა კონფლიქტის მოგვარებაში. მთლიანობაში, კომპანიის საბჭოს წევრები პოლიტიკურად ავტონომიურები უნდა იყვნენ. ისინი უნდა ინიშნებოდნენ ტექნიკური ცოდნის საფუძველზე, ღია და შეჯიბრობითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესით. საბჭოში ხელისუფლების წარმომადგენლების რაოდენობის არჩევანი კომპრომისის საფუძველზე უნდა ხდებოდეს. ერთის მხრივ, ამ წარმომადგენლებმა შესაძლოა, უზრუნველყონ კომპანიის მმართველობითი ურთიერთობების საფუძვლები და თავიდან აიცილონ ძალიან დიდი ძალაუფლების კონცენტრაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიაში; მეორეს მხრივ, მათ შეიძლება არ ქონდეთ მკაცრი ბედამხედველობისათვის საჭირო დრო ან ტექნიკური ცოდნა. მათ ასევე შესაძლოა, შეანელონ კომპანიაში გადანაწილების მიღების პროცესი (ანგარიშვალდებულების თაობაზე იხილეთ მე-2 პრინციპი).

სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებზე უნდა გავრცელდეს გასაჯაროების იგივე სტანდარტი, რომელიც ვრცელდება კერძო კომპანიებზე. სახელმწიფო საკუთრებაში არსებულმა კომპანიამ უნდა შეინარჩუნოს საჯარო ანგარიშები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული ანგარიშები უნდა ექვემდებარებოდნენ დამოუკიდებელ აუდიტს და ნათლად უნდა აღწერდნენ ნებისმიერ კერძო საკუთრების ინტერესსა და ამასთან დაკავშირებულ გარიგებებს. განსაკუთრებით კრიტიკული სფერო გამჭვირვალობის კუთხით არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების მიერ სახელმწიფოს სახელით ნავთობის ყიდვა-გაყიდვა. საჯაროობის ვალდებულება უნდა ვრცელდებოდეს კომპანიის მიერ მიღებული ნავთობის ოდენობაზე, ფასზე, ხარისხზე, მოცულობასა და გასხვისების თარიღზე.

და ბოლოს, კანონმდებელი ან შესაბამისი საზედამხედველო სააგენტო ვალდებულია, რეგულარულად და სისტემატიურად დააკვირდეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიას. იმისათვის, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წიაღისეულის მომპოვებელ კომპანიას ჰქონდეს მიზნების ეფექტურად მიღწევისთვის საჭირო მოქმედების თავისუფლება, ასევე პოლიტიკოსების ან სამოქალაქო მსახურების ბედმეტად შემაშფოთებელი ჩარევის თავიდან ასაცილებლად, კანონმდებელი ან სააგენტო შესაძლოა, დააკვირდეს მაღალი დონის გადანაწილებების მიღების

პროცესს. აღნიშნული გულისხმობს უფრო შესრულების წლიურ მიმოხილვებს ვიდრე საოპერაციო საკითხებს.

როლების განვითარების მართვა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიების პასუხისმგებლობები შესაძლოა, ხელახლა განისაზღვროს ახალი გამოწვევებისა და კომპანიის კომპეტენციის განვითარების ფონზე - მაგალითად, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობის ჰოლდინგურმა კომპანიამ გადაინაცვლოს კერძო კომპანიებთან ერთობლივი ოპერაციების განხორციელებაზე. გრძელ ვადიან პერსპექტივაში, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის სახელმწიფო აგენტის როლი წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის საბოლოო საშუალებას, რომელიც შექმნის ხელისუფლების ინსტიტუტების ეფექტურ სისტემას, ან/და განავითარებს ძლიერ ინდუსტრიას და ოპერაციულ ნიჭს. თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია ამ პროცესის შემდგომ გააგრძელებს საქმიანობას, იგი კომერციულად ეფექტური უნდა იყოს.

შემოსავლების მართვა

VII პრინციპი - მთავრობამ შემოსავლების ინვესტირება უნდა განახორციელოს ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის ოპტიმალური და თანაბარი შედეგების მისაღწევად

მთავრობამ უნდა გადანყვიტოს, თუ როგორ გაანაწილებს წიაღისეულის მოპოვებით მიღებულ შემოსავლებს. ვარიანტები მოიცავენ, თუმცა, არ შემოიფარგლებიან შემდეგით: შემოსავლების განაწილება პირდაპირ ეროვნულ ან ქვე-ეროვნულ ბიუჯეტებში; მათი გადასახადების შემცირებისთვის გამოყენება; ან მათი გადარიცხვა სოციალური უზრუნველყოფის, სუბსიდიების ან “წიაღისეულის დივიდენდების” სახით; საპენსიო ფონდებში ან წიაღისეულის ფონდებში შეტანა; დაკრედიტების ინსტიტუტების კაპიტალიზაცია; ან შემოსავლების სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ კომპანიებში შენახვა/განაწილება.

აღნიშნული არჩევნების გაკეთებისას მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ორი მნიშვნელოვანი მიზანი: თანასწორობის ხელშეწყობა თაობებსა და საზოგადოებებს შორის და შემოსავლების ეფექტურად გამოყენება კეთილდღეობის მაქსიმალურად გასაზრდელად.

წიაღისეულის ბუნება ამ პრობლემას ართულებს ოთხი მიმართულებით. პირველი, არაგანახლებადი წიაღისეულის მოპოვება თავისი თვისებებით არამდგრადი საქმიანობაა. სახელმწიფომ გეგმა უნდა მოიცავდეს იმ პერიოდსაც, როდესაც კომერციული რეზერვები ამოიწურება ან, სულ მცირე, როდესაც ხელმისაწვდომი შემოსავლის ნაკადები შემცირდება. ბუნებრივი აქტივების ამგვარი დაღმასვლა მოითხოვს ნაბიჯების გადადგმას, რათა მისი ექვივალენტი სანარმოო აქტივი, როგორც წესი, ფიზიკური ან ადამიანური კაპიტალი, დაგროვდეს. მეორე, წიაღისეულის შემოსავლები, როგორც წესი, ძალიან იმატებს, როდესაც მოპოვებითი პროექტები სრული მოცულობით მუშაობენ. ამას მოჰყვება რეზერვების ამოწურვით გამოწვეული ხანგრძლივი დაღმასვლა; შესაბამისად, მთავრობამ მოკლე დროში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ეკონომიკის საერთო ზომის გათვალისწინებით, დიდი ოდენობის ფულთან დაკავშირებით. ეს ნიშნავს, რომ უმეტეს წლებში მთავრობამ უნდა მოიხმაროს იმაზე ნაკლები თანხა, ვიდრე იგი გამოიმუშავებს, შესაბამისად, საჭიროა დაგროვების გარკვეული ფორმა. მესამე, საქონლის ფასები და შესაბამისად, წიაღისეულით მიღებული შემოსავალი წლიდან წლამდე არასტაბილურია. აღნიშნული მოითხოვს პოლიტიკური ინსტრუმენტების არსებობას, რომლებიც უზრუნველყოფენ, რომ მოკლევადიანი შემოსავლის მერყეობა არ გადაიზარდოს დამანგრეველი ხასიათის სახელმწიფო ხარჯვით გამოწვეულ მერყეობაში. მეოთხე, შემოსავლის დინება ეკონომიკაში წარმოშობს უარყოფით მაკროეკონომიკურ შედეგებს. დიდი ოდენობით თანხის შედინებამ ეკონომიკაში, არამოთხოვნად საქონელსა და მომსახურებაზე უფრო მაღალი მოთხოვნის პარალელურად, შესაძლოა, გამოიწვიოს იმ ბიზნესის გაუარესება, რომელიც აწარმოებს საქონელს პოტენციური ექსპორტისათვის. ამ ფენომენს “ჰოლანდიური დაავადება” ეწოდება. გარდა ამისა, სამომავლო შემოსავლებზე დაყრდნობით აქტივებისა და მოლოდინების გაზრდამ შესაძლოა, შექმნას საკრედიტო ბუშტები (“Credit Bubbles”) და მსგავსი ფინანსური პრობლემები. გარდა ამისა, ეკონომიკას შესაძლოა, არ ჰქონდეს იმის უნარი, რომ გაუმკლავდეს ადგილობრივი ინვესტიციების ზრდას მოკლე ვადაში, რაც გამოიწვევს ინფლაციას. და ბოლოს,

მოქალაქეებში იმის აღქმამ, რომ წიაღისეულის მოპოვებით მიღებული სიკეთე სამართლიანად არ ნაწილდება, შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი {შემოსავლების არასტაბილურობასთან დაკავშირებით იხილეთ მე-8 პრინციპი, ხოლო ეკონომიკის გარეშე ფაქტორებით სარგებლობის უნარის ზრდასთან დაკავშირებით, იხილეთ მე-9 პრინციპი}.

თანასწორი განაწილების უზრუნველყოფა მომავალი თაობებისათვის

პირველი მიზნის - თანასწორობის ხელშეწყობის მისაღწევად, მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ შემოსავლის რა ოდენობა უნდა დაიხარჯოს არსებული მოქალაქეების სასიკეთოდ და რა ოდენობის ინვესტირება უნდა განხორციელდეს მომავალი თაობებისთვის. ეს გადაწყვეტილება ეფუძნება გონივრულ ვარაუდს იმის თაობაზე, თუ წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიღებული შემოსავლიდან რა ოდენობა იქნება ხელმისაწვდომი ხარჯებისთვის, დანაბოგისთვის და ასევე, ქვეყნის ზრდის პერსპექტივისთვის. თუ ადგილი ექნება მაღალ ზრდას, დღევანდელი მოქალაქეები მომავალ თაობებთან შედარებით, გაცილებით ღარიბები იქნებიან; საჭირო იქნება დაუყოვნებლივი ხარჯების გაღება დღევანდელი მოქალაქეების კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. თუმცა, მთავრობამ თავისი მიზნები ეკონომიკის შესაძლებლობების ჭრილში უნდა შეაფასოს. კერძოდ, რამდენად აქვს ეკონომიკას იმის შესაძლებლობა, რომ გაუმკლავდეს დანახარჯების პოტენციურად დიდ ზრდას. იმ ქვეყნებში, სადაც შემოსავლის შედარებით ნელი ზრდაა მოსალოდნელი, დღევანდელი და მომავალი თაობების შემოსავლებს შორის სხვაობა უფრო ნაკლები იქნება. ამ შემთხვევებში, მთავრობა თაობებს შორის თანასწორობის შესანარჩუნებლად ნაკლებ შემოსავალს უნდა ხარჯავდეს აწმყოში და მეტს აბანდებდეს ინვესტიციაში.

დროთა განმავლობაში, უფრო სამართლიანი განაწილების გარდა, შემოსავლის ზოგიერთი მიმდინარე ხარჯი შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს ეფექტური საჯარო ხარჯვის დემონსტრირებისათვის და მთავრობების წიაღისეულის მართვის გრძელვადიანი გეგმებისთვის საჯარო მხარდაჭერის მოსაპოვებლად. წიაღისეულის დოვლათის აღმოჩენით იქმნება საზოგადოების მაღალი მოლოდინების შექმნის საფრთხე. ასევე იმის საფრთხე, რომ კონკრეტული ჯგუფები მიღებული შემოსავლებიდან მათ წილს მოითხოვენ. ამ მოლოდინების მართვამ ღია და ინკლუზიური ეროვნული დაგეგმარებითა და ფაქტების კომუნიკაციით, შესაძლოა შეამციროს მოთხოვნები და ამის შედეგად საჭირო გადაჭარბებული ხარჯვა. ზოგიერთ ქვეყნებში გარკვეული ტიპის ხარჯვა მართალია, გარანტიით არის უზრუნველყოფილი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის პასუხი რაც შეიძლება მეტი შემოსავლის ხარჯვაა: ქვეყნებმა უნდა დაიცვან ახალგაზრდებისა და მომავალი თაობების უფლებები, სარგებელი მიიღონ სახელმწიფოს სიმდიდრიდან (დანაბოგების თაობაზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად წიაღისეულის საფუძვლების, მისი ამონურვისა და შემოსავლების ნაკადის უზრუნველყოფის გააზრების მნიშვნელობის თაობაზე იხილეთ მე-3 პრინციპი).

განსაზღვრულ ფისკალურ წესს, რომელიც ადგენს, თუ რა ოდენობის შემოსავალი უნდა დაიხარჯოს და დაიბოგოს ყოველწლიურად მთავრობის მიერ, შეუძლია მთავრობა მიიყვანოს დაბოგვასთან დაკავშირებულ გრძელვადიან გადაწყვეტილებამდე. იმისათვის, რომ ეს წესი

დაცული იყოს მთავრობის მიერ მისი გაუქმების მცდელობისგან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული წესი და ასევე, ყოველწლიურად დახარჯული და დაბოგილი ოდენობები საჯარო იყოს. სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის ძლიერ ზედამხედველობასთან ერთად, აღნიშნული მმართველობითი სტრუქტურები ხელს უწყობენ მთავრობის მიერ მათი გადაწყვეტილების შესრულებას.

ამჟამინდელ მოქალაქეებს შორის სამართლიანობის გათვალისწინება

შემოსავლების განაწილებისას მთავრობამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ამჟამინდელ მოქალაქეებს შორის თანასწორობის არსებობა. ამას შესაძლოა დასჭირდეს მნიშვნელოვანი მსჯელობა (და ჩარევა), რათა დაბალანსდეს სიკეთის განაწილების სამართლიანობა სოციალური ჯგუფის, სქესისა და შემოსავლის დონეების მიხედვით.

მთავრობას შესაძლოა, სურდეს წიაღისეულით მიღებული შემოსავლის გამოყენება იმათ დასახმარებლად, ვინც შედარებით ან აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს. ამის განხორციელება მთავრობას შეუძლია სხვადასხვა არხების მეშვეობით (იხილეთ ქვევით). შესაძლებელია, ასევე, საჭირო გახდეს კომპრომისის მიღწევა უფრო ეფექტურ არხებსა და სხვა ისეთ არხებს შორის, რომლებიც სამიზნე ჯგუფების უფრო მეტ ოდენობაზე ვრცელდებიან.

ვინაიდან უპირობო ჯამური თანხის გადარიცხვას მეტი სარგებელი მოაქვს ღარიბებისთვის, ვიდრე მდიდრებისთვის, შესაძლოა, ასეთი პირდაპირი გადარიცხვებისთვის არსებობდეს გამართლება ისეთ ქვეყნებში, სადაც სიღარიბისა და საკრედიტო შეზღუდვების მაღალი დონეა. ნაღდი ფულის პირდაპირ ხალხისთვის გადარიცხვა ხელს უწყობს საყოფაცხოვრებო ხარჯების შემცირებას, შესაძლებლობების და ინდივიდუალური საკრედიტო შეზღუდვების შემსუბუქებას. მათ ასევე შეუძლიათ დააინტერესონ საზოგადოება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხდება შემოსავლის ხარჯვა. ამით გაიზრდება მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების სურვილი. თუმცა, ამგვარი წარმატებული გადარიცხვა ეფუძნება საჯარო ადმინისტრირების სისტემებს, რომლებიც სახსრებს ეფექტურად ანაწილებენ. სხვაგვარად შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მითვისებას. გარდა ამისა, ნაღდი ფულის გადარიცხვები შესაძლოა, წინააღმდეგობაში მოდიოდეს მთავრობის მიზნებთან, კერძოდ, წიაღისეულით მიღებული შემოსავალი ჩადონ ინვესტიციაში, თუკი მოქალაქეები თავად არ მოახდენენ ნაღდი ფულის ინვესტირებას. ნაღდი გადარიცხვები ასევე ამცირებენ საჯარო სექტორისთვის პროექტებისთვის ხელმისაწვდომ სახსრებს. გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ ეკონომიკის უნარს ისარგებლოს გარეშე ფაქტორებით. თუ ბიზნესი ვერ პასუხობს ნაღდი ფულის გადარიცხვით შექმნილ დამატებით მოთხოვნას, ასეთი გადარიცხვა უბრალოდ ადგილობრივი ფასის ინფლაციას გამოიწვევს.

გავრცელებული გამოყენებისა და პოპულარობის მიუხედავად, სუბსიდიები, როგორც წესი, ყველაზე ნაკლებად სასურველ მეთოდს წარმოადგენენ შემოსავლის

გასანაწილებლად. უფრო კონკრეტულად კი საზოგადოების წევრებმა შესაძლოა, მოითხოვონ ნავთობის სუბსიდიის მიღება - გამოიყენონ რა მათი როგორც წიაღისეულით მდიდარი ქვეყნის მოქალაქეების უფლება. თუმცა, სუბსიდიებმა შესაძლოა, წაახალისონ არაეკონომიური მოხმარება, კონტრაბანდა და პარალელური ბაზრების განვითარება. როდესაც ადგილობრივი საქონლის ფასი სუბსიდირებულია, მსოფლიოში დადგენილი მაღალი ფასები ნიშნავს ექსპორტის შემოსავლის დაკარგვას და სახელმწიფო ფინანსებზე მეტი ტვირთის დაკისრებას, რაც წიაღისეულით მიღებული დიდი შემოსავლების სიკეთეს აზრს უკარგავს.

ცენტრალურმა მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს რეგიონალური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლები. ამგვარი ინვესტიციები საჭიროებენ კონკრეტულ რეგიონზე ფოკუსირებას. ეს შეიძლება იყოს ქალაქი - როგორც სამუშაო ადგილების შექმნისა და ბრდის მანქანა. გარდა ამისა, ცენტრალურმა მთავრობამ შემოსავლის განაწილება უნდა დაუკავშიროს ადგილობრივი ხელისუფლების ხარჯვით პასუხისმგებლობას და პროაქტიულად აშენოს ადგილობრივი ხელისუფლების უნარიანობა, აკონტროლოს აღნიშნული პასუხისმგებლობები. ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობამ შესაძლოა, გაითვალისწინოს მოპოვებითი სამუშაოს ჩატარების ადგილას ახლოს მცხოვრები საზოგადოების სასარგებლოდ უფრო მეტი შემოსავლის განაწილება, ვიდრე ქვეყნის ნებისმიერ სხვა მხარეს მცხოვრებ საზოგადოებაზე. თუ ჯგუფები არაპროპორციულად იხდიან მოპოვების საფასურს, როგორცაა გარემოსთვის მიყენებული ზიანი ან სოციალური ნგრევა, მთავრობამ აღნიშნული აქტიურად უნდა შეაჩეროს, ან მოახდინოს ზიანის კომპენსაცია. გარდა ამისა, იმისათვის, რომ მოხდეს კონფლიქტის ან სოციალური დაძაბულობის შემცირება, მთავრობამ შესაძლოა, მოისურვოს მოპოვებითი სამუშაოების ჩატარების ადგილას ახლოს მცხოვრებ მოსახლეობაზე შემოსავლის გარკვეული წილის განაწილება. თუმცა, თუ წიაღისეული სახელმწიფო საკუთრებაშია, მოპოვებითი სამუშაოების ჩატარების ადგილთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას, ქვეყნის სხვა რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან შედარებით, წიაღისეულის შემოსავლის უფრო მაღალ წილზე, როგორც წესი, თვისობრივი მოთხოვნა არ აქვს. მთავრობას შესაძლოა, დასჭირდეს ადგილობრივი მოთხოვნების დაბალანსება მისი ყველა მოქალაქის საჭიროებებთან მიმართებით (ადგილობრივი მოსახლეობების მოხმარებასთან დაკავშირებით, იხილეთ მე-5 პრინციპი).

ეფექტური ინვესტიციის უზრუნველყოფა

შემოსავლის მართვის მეორე ამოცანაა შემოსავლის იმგვარი განაწილება, რომ შედეგად მეტი სოციალური შემოსავალი იქნას მიღებული. ამ გადანყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ გაითვალისწინოს არამხოლოდ წმინდად ფინანსური სიკეთის მიღება, არამედ ასევე ისეთი ეკონომიკური და სოციალური სიკეთეების გამომუშავება, როგორებიცაა სამუშაო ადგილების შექმნა და უნარების გადაცემა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივ და უცხოურ ინვესტიციებს შორის არჩევანის გაკეთებაა. ისეთ ქვეყანაში, სადაც არსებობს კარგი ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მეტმა ადგილობრივმა ინვესტიციამ ისეთი მაღალი შემოსავლები მოიტანოს, როგორსაც საზღვარგარეთ ინვესტირება მოიტანდა. უფრო ღარიბი ქვეყანა როგორც წესი,

ხაფანგშია მოქცეული - მას კერძო ინვესტიციის მოსაზიდად შეიძლება არ ჰქონდეს ინფრასტრუქტურა და საჯარო სერვისები. ასეთი ინვესტიციის გარეშე კი მთავრობას არ შეუძლია საჯარო ინფრასტრუქტურისა და სერვისებისთვის საჭირო თანხის გამოშვება. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა წარმოადგენს წიაღისეულის მოპოვებით შექმნილი შემოსავლების მიმღებს, მას აქვს შესაძლებლობა, გაარღვიოს ეს ციკლი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად საჭირო სტრუქტურული ცვლილებების დაფინანსების გზით. განვითარებადი ქვეყანა ამ გარემოებებში უფრო მეტ სარგებელს მთავრობის ადგილობრივი ინვესტიციების შედეგად მიიღებს, ვიდრე უცხოეთში ინვესტირებით. განსაკუთრებით, თუ მთავრობა დამატებით კერძო ინვესტიციასთან შეწყვილდება (საინვესტიციო შეზღუდვების გადასაჭრელად შემოსავლების გამოყენების თაობაზე იხილეთ მე-9 და მე-10 პრინციპები).

გრძელვადიან პერსპექტივაში, წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიღებული შემოსავლების ადგილობრივ ეკონომიკაში ინვესტირება საუკეთესო გზაა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებისთვის. თუმცა, არახელსაყრელი საჯარო პროექტის შერჩევამ, მიწოდებამ და ხარჯების გაბერვამ შესაძლოა, მკვეთრად გაზარდოს ადგილობრივი ინვესტიციის არაეფექტურობა. განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ღარიბი ინფრასტრუქტურაა, მთავრობას და ბიზნესს შესაძლოა, ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობა უპასუხონ დიდი ოდენობის ხარჯვის პროგრამების უფრო მაღალ მოთხოვნას, რის შედეგადაც წიაღისეულის მოპოვებით მიღებული შემოსავლის ინვესტირება ეკონომიკაში ინვესს არა უკეთესი კაპიტალური საქონლის შემქნას, არამედ ინფლაციას. ეკონომიკის გარეშე ფაქტორებით სარგებლობის უნარის ნაკლებობამ შესაძლოა გამოიწვიოს დაბალი ბიუროკრატიული უნარიანობა ან შექმნას რესურსების უკმარისობა, კერძოდ გადატვირთული საპორტო დანესებულებები ან ურბანული სატრანსპორტო ქსელები. წიაღისეულის შემოსავალი მთავრობას უქმნის შესაძლებლობას რომ აღნიშნული შეზღუდვები მოაგვაროს თანმიმდევრულად. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული ძალისხმევები მოითხოვენ დროს, თავდაპირველად შესაძლებელია ზედმეტი შემოსავლის უცხოეთის დაგროვებით ფონდებში შენახვა ან მათი გამოყენება საგარეო დომინირებული ვალის შესამცირებლად. ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს განსაკუთრებით სასარგებლო ეკონომიკისათვის. საგარეო ვალის შემცირება არ წარმოქმნის რაიმე ადგილობრივ ათვისებასთან დაკავშირებულ პრობლემას, ბრდის ქვეყნის კრედიტუნარიანობას, სწორ გზავნილებს უგზავნის ინვესტორებს. და, რაც მთავარია, ადგილობრივი კერძო სექტორისთვის ამცირებს ხარჯს, რაც განპირობებულია მისი გავლენით საპროცენტო განაკვეთზე.

შემოსავლების გამოყენება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დაკრედიტების ინსტიტუტების (როგორებიცაა დეველოპერული ბანკები, ან იპოთეკის პროვაიდერები) კაპიტალიზაციისათვის ცვლის გადაწყვეტილების მიღების თაობაზე უფლებამოსილ ორგანოს და ამ უფლებას გადასცემს ისეთ ინსტიტუტს, რომელსაც ცენტრალურ მთავრობასთან შედარებით უფრო მეტი ცოდნა და სპეციალური გამოცდილება აქვს ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად. თუ არსებობს საჭირო უნარი და ძლიერი მმართველობის სტანდარტებიც ადგილზეა, ასეთმა ინსტიტუტებმა შესაძლოა, აირჩიონ ისეთი ინვესტიციები, რომლებსაც მოაქვთ მეტი სოციალური შემოსავალი, ვიდრე ცენტრალურ მთავრობაში გადაწყვეტილების მიმღების მიერ შერჩეულ ინვესტორს.

ზოგიერთ შემთხვევებში, კერძო საბანკო სექტორს შესაძლოა, უფრო მეტი კომპეტენცია და სტიმული გააჩნდეს წიაღისეულის მოპოვებით მიღებული შემოსავლისთვის საუკეთესო ფინანსური ბრუნვების მოსაძიებლად. თუმცა, თუ ადგილობრივ საინვესტიციო კლიმატს არ შეუძლია მდგრადი ფინანსური ბრუნვის შემოთავაზება, კერძო ბანკს შეუძლია ამის სანაცვლოდ ფონდები უცხოეთში დააბანდოს მაშინაც კი, თუ არსებობს იმის შესაძლებლობები, რომ საზოგადოებისთვის ზოგადად არაფინანსური ბრუნვები შეიქმნას. აღნიშნულის ნაცვლად, მთავრობამ შესაძლოა განიხილოს წიაღისეულის მოპოვებით მიღებული შემოსავლების გამოყენება მომავალში კერძო ადგილობრივი ინვესტიციისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

VIII პრინციპი - მთავრობამ უნდა შეამციროს შემოსავლების ადგილობრივი ხარჯვა შემოსავლების არასტაბილურობის გათვალისწინებით

შემოსავლის არასტაბილურობა ხშირად მოპოვებით ინდუსტრიაზე დამოკიდებული ქვეყნების მთავარი პრობლემაა. ვინაიდან მომავალი შემოსავლების ოდენობა არ არის გარკვეული, მთავრობისთვის ინვესტიციების დაგეგმვა რთულია. ცუდად დაგეგმილ პროექტებზე მათ მიერ პიკის მიღწევის პერიოდში არსებობს გადამეტებული ხარჯვის, ხოლო ფასების ან წარმოების დაცემის დროს ამ ხარჯების მკვეთრად შემცირების რისკი. გარდა ამისა, გაცვლითი კურსის არასტაბილურობამ, ინფლაციამ და სამთავრობო ხარჯვამ, შესაძლოა გამოიწვიოს ბიზნესების მიერ ისეთი ხარჯვა, რაც გაამწვავებს არასტაბილურობის პრობლემას.

ყველაზე სანდო და გრძელვადიანი პრობლემის გადაჭრა წიაღისეულის მოპოვებაზე შემოსავალ-დამოკიდებულების შემცირებაა. ეკონომიკის, უფრო კონკრეტულად კი საგადასახადო საფუძვლის გამრავალფეროვნებით და მისი მოპოვებითი სექტორისგან დისტანცირებით, შესაძლებელი იქნება მთავრობის შემოსავლების ისეთი მარაგის შექმნა, რომელიც ერთი ინდუსტრიის წარმატებაზე არ იქნება დამოკიდებული. დივერსიფიკაცია გრძელი და რთული გზაა, რომელიც მოითხოვს მოკლევადიან სტაბილურობას. ამ შიდა პროცესის სამართავად მთავრობებს გააჩნიათ რიგი ინსტრუმენტები, როგორებიცაა მოპოვებითი ინდუსტრიის საგადასახადო რეჟიმის დაპროექტება, შემოსავლის ნაკადის ბიუჯეტში შედინებისა და გადინების მართვა და გადანყვეტილებების მიღება იმის თაობაზე, თუ რომელი ტიპის ხარჯებია უფრო არამდგრადი სხვებთან შედარებით. შესაფერისი სტრატეგია შესაძლოა, მოიცავდეს ყველა ზემოხსენებულის კომბინაციას, ასევე ძირითადი ინსტიტუტების გაუმჯობესებას. აღნიშნული უზრუნველყოფს სამთავრობო ხარჯების კონტროლისთვის საჭირო ინსტრუმენტების ეფექტურობას და იცავს ეკონომიკას მაკრო არეულობისგან.

მთავრობის გადანყვეტილებებს ართულებს გაურკვეველობა იმის თაობაზე თუ რამდენად დროებით ან მტკიცე ცვლილებას პროგნოზირებს საქონლის ფასების ცვლილება. თუ ფასების ცვლილება დროებითია, მთავრობის მიერ რომელიმე ზემოხსენებული ინსტრუმენტის გამოყენება არამდგრადობის სამართავად შესაფერისი ზომა იქნება. თუ ფასის ცვლილება

უფრო პერმანენტული ხასიათისაა, მთავრობამ ამის სანაცვლოდ უნდა გაითვალისწინოს მისი გრძელვადიანი ხარჯვის გეგმის ცვლილება. ეს არ არის მარტივი ამოცანა და მთავრობის გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გააზრებული უნდა ჰქონდეთ ეს გაურკვევლობა.

მოპოვებითი ინდუსტრიის საგადასახადო რეჟიმის გავლენის გათვალისწინება არასტაბილურობაზე

გარკვეულწილად საგადასახადო რეჟიმის ფორმამ შესაძლოა გავლენა იქონიოს იმაზე, თუ რა ეფექტი აქვს ფასების მერყეობას შემოსავლების არამდგრადობაზე. გადასახადებების და როიალტების გამოყენებას მოაქვს უფრო მეტი უსაფრთხოება, ვიდრე, მაგალითად, კორპორატიულ ან გადაჭარბებულ საშემოსავლო გადასახადს. თუმცა, ეს დაცვა შეზღუდულია და მისი განხორციელება საშუალოდ დაბალი შემოსავლების ხარჯზე იქნება შესაძლებელი (გადასახადებთან დაკავშირებით იხილეთ მე-4 პრინციპი).

ჰეჯირების ხელშეკრულებების გამოყენების დაშვება

ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობებმა შესაძლოა, შეძლონ ფინანსური ხელშეკრულებების გაფორმებით თავი დაიზღვიონ შემოსავლების არამდგრადობისგან და საქონლის ფასების გაურკვევლობისგან. მათ “ჰეჯირების ხელშეკრულებები” (“Hedging Contracts”) ეწოდებათ. მათი გამოყენება მიზანშეწონილია მოკლევადიან პერსპექტივაში, თუმცა უფრო ხანგრძლივი პერიოდით თავის დაზღვევა შესაძლოა, ძვირი აღმოჩნდეს. არსებობს თუნდაც მოკლევადიან ჰეჯირებასთან ასოცირებული მნიშვნელოვანი დანახარჯები, რომლებსაც ფასების ვარდნის შემთხვევაშიც კი მოაქვთ ხოლმე შემოსავალი. ეს ეკონომიკური და პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლოა, ძვირი აღმოჩნდეს დაბალი შემოსავლის მქონე და წიაღისეულით მდიდარი ქვეყნებისთვის. ჰეჯინგის გამოყენება უმჯობესი იქნება სხვა სტრატეგიების შერეული პორტფოლიოს ნაწილის ფორმით.

განიხილეთ უცხოური აქტივების აკუმულაცია და სესხება მოკლე ვადით

მესამე სტრატეგია ნამატი შემოსავლების მქონე ფონდის შექმნაა, სადაც წარმატების პიკში უცხოური აქტივების აკუმულირება მოხდება. შემოსავლების დაცემისას კი მოხდება ამ აქტივების ლიკვიდაცია (ან, თუ არასაკმარისი აღმოჩნდა, სესხება). სტაბილიზაციისთვის ფონდების გამოყენება კონცეპტუალურად განსხვავდება სახსრების დაზოგვისაგან, როდესაც არსებობს დოვლათის მომავალი თაობებისთვის შენახვის გრძელვადიანი გეგმები. აღნიშნული გეგმა შესაძლოა, განვითარებადი ქვეყნებისთვის ნაკლებად პრიორიტეტული იყოს. პრაქტიკაში, ერთ ფონდს შეუძლია შეითავსოს ორივე ფუნქცია (გრძელვადიანი დანაზოგების განხორციელებასთან დაკავშირებით, იხილეთ მე-7 პრინციპი).

სტაბილიზაციის ფონდები უნდა ფლობდნენ უცხოურ აქტივებს, როგორებიცაა უფრო უცხოური მთავრობის სახაზინო ვალდებულებები, ვიდრე ადგილობრივი აქტივები, როგორებიცაა წილი ადგილობრივ ბიზნესებში. ამისთვის არსებობს სამი მიზეზი. პირველი, ფონდებმა უნდა დაიცვან ქვეყანა არასტაბილური ხარჯების დამაზიანებელი ეფექტებისგან. მათ ინვესტირებას ადგილობრივ ეკონომიკაში უბრალოდ ხარჯების წყარო გადააქვს ბიუჯეტიდან, თუმცა ქვეყანაში

არ ამცირებს საერთო ხარჯების არასტაბილურობას. მეორე, ბიუჯეტიდან გატანილი ფონდებიდან ადგილობრივ ხარჯებზე პასუხისმგებლობის აღებას შესაძლოა, აკლდეს სათანადო შემოწმება და გამოკვლევა, რაც, როგორც წესი, დამახასიათებელია ბიუჯეტისთვის. და ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივების ფლობა ხელს უწყობს ქვეყნის გაცვლით კურსზე გავლენის შემცირებას, როდესაც ქვეყანა განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ შემოდინებებს.

გარდა ამისა, მთავრობამ უნდა მოახდინოს ნებისმიერი ბუნებრივი წიაღისეულის ფონდის შერწყმა ეროვნულ ბიუჯეტთან, რათა თავიდან აირიდოს ისეთი ინსტიტუტის შექმნა, რომელიც ადგილობრივი ხარჯის თაობაზე გადაწყვეტილებას ეროვნული საბიუჯეტო სისტემის გარეთ იღებს, რაც ართულებს საჯარო ფინანსურ მართვას ან ასუსტებს არსებულ ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ ზომებს.

განმეორებით ხარჯებამდე ცვლილებები შეიტანეთ ინვესტიციის ხარჯებში

და ბოლოს, თუ არასტაბილურობა იმდენად გავრცელებულია, რომ მთავრობას არ შეუძლია ჯამური ხარჯების შესუსტება, მიზანშეწონილია, ინვესტირების ხარჯების, და არა განმეორებითი ხარჯების, მკვეთრი ცვლილება. ინვესტირების ხარჯები თვისობრივად უთანასწოროა. განმეორებითი ხარჯების მიმღები მხარეები, როგორებიცაა საჯარო სექტორში დასაქმებულები არიან, საჭიროებენ რეგულარულ, პერიოდულ გადახდებს. მათი მკვეთრი შემცირება არ იქნება პოპულარული, მაშინ, როცა გაზრდილი ხელფასების შენარჩუნება ფასების ვარდნის შემდგომ პოლიტიკურად რთული იქნება. თუმცა, ასეთი ზომები უკანასკნელ საშუალებებს უნდა წარმოადგენდნენ: არამდგრადი, ავტომატური (“Stopstart”) დაფინანსების სისტემა ასევე დამაზიანებელია საინვესტიციო პროექტებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს გააზრებულ მოსაზრებას იმის თაობაზე რამდენად დროებითი თუ მუდმივია ფასების ვარდნა. იმ შემთხვევაში, თუ ფასების ვარდნა მუდმივი ხასიათისაა, მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს ორივე ტიპის ხარჯები.

დააფუძნეთ შემოწმების სისტემა ინსტრუმენტების შესაბამისად გამოყენების უზრუნველსაყოფად

არ არსებობს იმის გარანტია, რომ მომავალი გადაწყვეტილების მიმღები პირები გამოიყენებენ ამ ინსტრუმენტებს შემოსავლების არასტაბილურობის ეფექტური მართვისთვის. მაგალითად, სტაბილიზაციის ფონდებში შესაძლებელია მოენწყოს რეიდი, ან წარმატების პიკში არ მოხდეს მათი შევსება, სესხება კი შესაძლოა, სწრაფად გახდეს უმართავი. ამ ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია, განსაკუთრებით გაუმჭვირვალე გახდეს მათი კომპლექსურობიდან გამომდინარე; ასევე იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მარტივია ფინანსური გარიგების დაფარვა ან საჯარო შემოწმების მიზნებისათვის მისი ბუნდოვანებით მოცვა. ამ სფეროში გამჭვირვალობის ზომები განსაკუთრებით გარანტირებულია (ანგარიშვალდებულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, იხილეთ მე-2 პრინციპი).

მთავრობის გადაწყვეტილებებზე დაკვირვება მოითხოვს აშკარად გამოკვეთილ სამიზნეს. არადისკრიმინაციული წესები სასარგებლოა რათა უხელმძღვანელონ მთავრობის მიერ

ბუნებრივი რესურსების ქართია

ჰეჯირების გამოყენებას, სახსრების დაზოგვასა და ინსტრუმენტების სესხებას. ხელისუფლებებმა ეს წესები უნდა შეაფასონ მოხერხებულობის მიხედვით, კერძოდ, პასუხობენ თუ არა შეცვლილ გარემოებებს, უფრო კონკრეტულად კი, ფასების სამომავლო კურსის განსაზღვრის სირთულეს. მოხერხებულობის გარკვეული ხარისხის მისაწოდებლად, მთავრობას შეუძლია დაიქირავოს მექანიზმი, რათა დაარეგულიროს წესებისგან გადაცდენები და ცვლილებები, საჯარო დებატების თემები და ფორმალური ზედამხედველობა.

DRAFT

მდგრად განვითარებაში ინვესტირება

IX პრინციპი - მთავრობამ შემოსავლები უნდა გამოიყენოს როგორც ეროვნულ და ქვე-ეროვნულ დონეებზე საჯარო ხარჯვის ეფექტურობის გაზრდის შესაძლებლობა

წიაღისეულით მიღებული შემოსავლები წარმოადგენენ მთავრობების შესაძლებლობას გაზარდონ მათი საჯარო ხარჯვის ვალდებულების მოცულობა. ამ მცდელობებს შეუძლიათ გზა გაუხსნან ქვეყნისთვის დიდი შემოსავლების მომტან დამატებით ინვესტიციებს და დაუშვან ამ შემოსავლებით სამართლიანი სარგებლობა.

ხარჯვის პოლიტიკის მართვა ეკონომიკის გაუარესების თავიდან ასაცილებლად

სუსტი საჯარო ხარჯვის ბიუროკრატისა და პატარა ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეფექტური ინვესტიცია შესაძლოა გამოწვევა იყოს. პირველი, სახელისუფლო ბიუროკრატია შესაძლოა ძალიან მცირე იყოს დიდი ბიუჯეტის სამართავად, რაც პროექტის სწორად არჩევასა და შეფასებას მოითხოვს. მეორე, წიაღისეულის მოპოვებით მიღებული შემოსავლების ხარჯვამ შესაძლოა გავლენა იქონიოს უფრო ფართო ეკონომიკაზე, რაც ინვეს ინფლაციურ წნეხს და შემოსავლების ღირებულების შემცირებას. მესამე, წიაღისეულის მოპოვებამ შესაძლოა გაზარდოს უთანასწორობა: რასაც მივყავართ საჯარო მოთხოვნამდე რეფორმების გატარების თაობაზე ან უკიდურესობამდე - კონფლიქტამდე. და ბოლოს, ცუდმა გამჭვირვალობამ და ანგარიშგაღებულებამ შესაძლოა, მთლიანი ხარჯვითი პროცესის განმავლობაში გაჟონვის მაღალ მაჩვენებელთან მიიყვანოს ქვეყანა.

აქტიური მართველობის გარეშე, შემოსავლების შემოდინებამ შესაძლოა სარგებელზე მეტი ზიანი მოუტანოს ქვეყანას. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ წიაღისეულის მოპოვებით მიღებული შემოსავალი ამ მხრივ საფრთხეს წარმოადგენს, მას შეუძლია ქვეყანა სუსტი ბიუროკრატიული შესაძლებლობების მდგომარეობიდან გამოიყვანოს და გაზარდოს ეკონომიკის უნარი ისარგებლოს გარეშე ფაქტორებით.

საჯარო ხარჯვის მართვის გაუმჯობესება

საჯარო ხარჯვის მართვის გაუმჯობესებას შესაძლოა ორივე ფორმა ქონდეს: შესაფერისი ხარჯვის გეგმების შერჩევის უნარის ზრდა და ინსტიტუტებისთვის პოლიტიკური ჩარევის გარეშე გადანყვეტილებების მიღების სტიმულის ზრდა. დაბალი ინსტიტუციონალური უნარის მქონე ქვეყნებში ახალი ხარჯვითი პროექტებისთვის შესაძლოა, პოლიტიკურად უფრო მარტივი იყოს გაუმჯობესებული, უფრო მკაცრი მმართველობითი წესების წარდგენა, ვიდრე უკვე არსებული ხარჯვის რეფორმირება. მთავრობები მათი ფინანსური მართვის სისტემებში უნდა ისწრაფოდნენ:

საჯარო, მრავალწლიანი გეგმებისკენ, რომლებიც ხარჯვის პროექტების კოორდინაციისა და კერძო სექტორისთვის მეტი განსაზღვრულობის საშუალებას იძლევიან;

ბუნებრივი რესურსების ქართია

კონკურენტუნარიანი, საჯარო და გამჭვირვალე შესყიდვებისკენ (თუ არსებობს ტენდერში მონაწილე პირების საკმარისი ინტერესი)

ზედამხედველობისა და შიდა კონტროლისკენ

მასშტაბური ხარჯების ღირებულების წინასწარი შეფასების საზომებისკენ, რომლითაც მოხდება მათი შედარება სავარაუდო სოციალურ და ეკონომიკურ სიკეთეებთან

ხარჯვის პროექტების საჯარო, დამოუკიდებელი აუდიტისკენ, რომელიც დააკვირდება და დაეხმარება მთავრობას მისი ხარჯვის პროცესების გაუმჯობესებაში

ისეთი ხარჯებისკენ, რომლებიც შეიქმნა ბიუჯეტზე დაყრდნობით და არა დანაზოგის ფონდების ან ექვივალენტი ინსტიტუტების მეშვეობით, რათა მოხდეს ოფიციალური ჩეკების გავრცელების უზრუნველყოფა.

საჯარო ინვესტიციის პროცესსა და ეკონომიკაში მიწოდების ბარიერების აღმოფხვრაში ინვესტიციის ჩადება საინვესტიციო პროექტების ღირებულების შესამცირებლად.

წიალისეულის მოპოვება და ზოგადად ინვესტირება და ხარჯვა, ხშირად არაპირდაპირ გავლენას ახდენენ საჯარო ინვესტიციის ღირებულების გაზრდაზე გლობალური ნორმის გეგმით. პროაქტიულ საჯარო პოლიტიკას შეუძლია შეამციროს ეს ხარჯები და გააუმჯობესოს ეკონომიკის უნარი ისარგებლოს გაზრდილი ინვესტიციით.

X პრინციპი - მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კერძო სექტორის ინვესტიციებს რათა მოახდინოს ეკონომიკის გამრავალფეროვნება და მოპოვებით ინდუსტრიაში ჩართვა

წიალისეულის მოპოვებით მიღებული შემოსავლის გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკის ზრდისთვის ძალიან არის დამოკიდებული კერძო სექტორის ინვესტიციების მნიშვნელოვან მატებაზე - დიდი მასშტაბის ინფრასტრუქტურულიდან მცირე ფერმერებამდე. და მაინც, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა წიალისეულის მოპოვების მიღმა პრობლემას წარმოადგენს წიალისეულით მდიდარი ქვეყნებისთვის.

პირველი, მთავრობის სანაწარმდეგო ქმედებების გარეშე, დიდი ოდენობით კაპიტალის დინებებმა შესაძლოა ადგილობრივი ვალუტის კურსის ზრდა გამოიწვიოს. ეს შედეგად გამოიღებს შემცირებულ კონკურენტუნარიანსა და ადგილობრივი წარმოების და ექსპორტის სექტორის გაუარესებას - ამ ფენომენს “პოლანდიური დაავადება” ეწოდება. თუ შედეგები არ გამოსწორდება, ამ ექსპორტის სექტორების კერძო ინვესტიციები ძალიან შემცირდება. გარდა ამისა, სხვა ადგილობრივ სექტორებში ინვესტიციები შეიძლება გაიზარდოს. ამან შესაძლოა შეასუსტოს ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკა საქონლის ფასების არასტაბილურობის წინაშე დააყენოს, რამეთუ მოპოვებითი ინდუსტრია ეკონომიკის კიდევ უფრო დიდი შემადგენელი ნაწილი გახდება (დიდი შემოსავლების ნაკადების ეკონომიკაზე გავლენის თაობაზე იხილეთ მე-7 და მე-8 პრინციპები).

მეორე, წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიღებული შემოსავლის ზრდის გავლენისთვის, საჯარო ინვესტიცია კერძო სექტორის მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. აღნიშნული მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთავრობისთვის, რათა მან გაზარდოს ადგილობრივი ეკონომიკის უნარი ისარგებლოს გარეშე ფაქტორებით და შექმნას ბერკეტები კერძო ინვესტიციისთვის. ამხანაგობაში მუშობა კერძო სექტორთან ერთად მნიშვნელოვანია დამატებითი ეკონომიკური ხარჯების მისაწოდებლად: მაგალითად, მთავრობის მიერ სკოლებსა და საავადმყოფოებზე გაღებული ხარჯი კომპანიებს უფრო პროდუქტიულ მუშა ხელს აწვდის.

კერძო ინვესტიციისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა

მთავრობამ უნდა შექმნას ბიზნესებისთვის ხელსაყრელი გარემო კონკრეტული ინდუსტრიის მიზანში ამოღების გარეშე. აღნიშნული მოიცავს კაპიტალის, მინისა და სამუშაო ბაზრის რეგულაციების გასაუმჯობესებლად რეფორმების გატარებას; ინფრასტრუქტურისა და საჯარო სიკეთეების მიწოდებას; და სოციალურ პოლიტიკას, რათა მუშა ხელის პროდუქტიულობა გაზარდოს. კერძოდ, ეკონომიკის ბარიერების შემცირებამ შესაძლოა დაწიოს ინვესტიციის ხარჯები და გამოასწოროს ეკონომიკის უნარი ისარგებლოს გარეშე ფაქტორებით.

პატარა, დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ხშირად ახასიათებთ პატარა, მონოპოლითა და კარტელებით დომინირებული ბაზრის ქონა, სადაც სისტემატიურად იზრდება კაპიტალისა და მონყობილობების ფასი, რაც აბრკოლებს ინვესტიციას. ახალი წევრების მისაღებად გატარებულმა აქტიურმა პოლიტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს აღნიშნული კარტელების ლიკვიდაციას. ამ პოლიტიკამ შესაძლოა გაამარტივოს ბიზნესის დაფუძნების პროცესი ან გაზარდოს ბაზარი რეგიონში ინტეგრაციის გზით და არა რეგიონის მასშტაბით არსებულ იმპორტირებული მონყობილობების ბაზრისთვის სატარიფო დაბრკოლებების გაუქმებით.

ორი სექტორი მოითხოვს სპეციალურ ყურადღებას: მშენებლობა და ფინანსები. სამშენებლო სექტორი, შენობები და სხვა კონსტრუქციები როგორც წესი მნიშვნელოვან ინვესტიციას წარმოადგენს ურბანული ქვეყნებისთვის. თუმცა, დიდი რაოდენობით სამშენებლო მასალების იმპორტი, როგორებიცაა ცემენტი, აკრძალვითა და ძვირია. შესაბამისად, ბიზნესი მოხარული იქნება ამის წყარო ადგილობრივ მიწოდებლებში იპოვოს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მცირე ეკონომიკებს, რომლებსაც წარსულში დაბალი ინვესტიციები ახასიათებდათ, ხშირად სამშენებლო ერთეულებზე მაღალი ფასები აქვთ და მშენებლობაზე მოთხოვნის მკვეთრმა ზრდამ შესაძლოა შედეგად გამოიწვიოს აღნიშნული ფასების მეტი ზრდა. სამშენებლო სექტორის ღირებულებათა ჯაჭვის მეშვეობით მუშაობამ და დაბრკოლებების აღმოფხვრამ, ასევე მშენებლობაში კარტელების და მონოპოლიების გაუქმებამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს ხარჯების შემცირებას.

იმ სამშენებლო მასალებისთვის, რომელთა გონივრული წარმოება ადგილობრივად შეუძლებელია და რომლებიც საჭიროებენ იმპორტირებას, სპეციალური ტარიფების შემცირება შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს. ამან შესაძლოა გამოიწვიოს საბაჟო მოსაკრებლის შემცირება და ადგილობრივი მიწოდებლების დაცვა. თუმცა გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა აღნიშნული უნდა შეაფასონ უფრო მაღალი და კერძო ინფრასტრუქტურის ინვესტიციების მიერ მოტანილი სიკეთის ჭრილობი.

პროგრესული ფინანსური სექტორი ასევე მნიშვნელოვანია. მზარდი ფირმები, რომლებიც ეძებენ გზებს გაზარდონ მათი ინვესტიცია ადგილობრივ ეკონომიკაში, აწყდებიან ორ ფინანსურ შეზღუდვას: პირველი, ინვესტიცია მოითხოვს წინასწარ კაპიტალს. მეორე, მომავალი წლისთვის დაგეგმილი წარმოება უფრო მაღალი იქნება ვიდრე წინა წელს მიღწეული. აღნიშნული ინვესტორები მომავალი წარმოების შესაქმნელად საჭირო სახსრების უკმარისობას. შესაბამისად, ფირმებს ასევე დასჭირდებათ მეტი სამუშაო კაპიტალის დაფინანსება. ორივე მიზეზის შემთხვევაში, ადგილობრივი ფინანსური სექტორიდან სახსრებზე (და მასთან ასოცირებულ მომსახურებებზე) მოთხოვნა შესაძლოა მკვეთრად გაიზარდოს მზარდ ეკონომიკაში. პოლიტიკამ, რომელიც მიმართულია ფინანსური სექტორის გაძლიერებისა და გაფართოებისკენ, შესაძლოა ხელი შეუწყოს დაბრკოლებების შემცირებას. საჯარო შემოსავლების ფინანსურ სექტორში შემვებით შესაძლოა დაბრკოლებები შეიქმნას მოკლე და საშუალო ვადებით მაშინ როცა გრძელ ვადიან პერსპექტივაში ზომების მიღება გამართლებულია.

გადაწყვეტოს გამიზნულად დაუჭიროს თუ არა ბიზნესს მხარი

წიალისეულის პიკი ქმნის მოპოვებით სექტორზე ზედმეტად დამოკიდებულების რისკს და ამავდროულად დანარჩენი ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობას იძლევა, რა შემთხვევაშიც ეკონომიკა ვითარდება მოპოვებისგან დისტანციურად.

საერთო ჯამში, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნამ, რაც ზევით განხილულ იქნა, შესაძლოა, წიალისეულის მოპოვების მიღმა არსებულ სხვადასხვა სექტორში ინვესტირების ზრდის ხელშეწყობით, გამოიწვიოს გამრავალფეროვნება. გარდა ამისა, მთავრობამ შესაძლოა პირდაპირ განავითაროს ზოგიერთი სექტორები ან ინდუსტრიები ან განავითაროს მოპოვებითი სექტორის დამატებითი ადგილობრივი ღირებულება. თუმცა, მსგავსი პოლიტიკა სარისკოა. რისკები მოიცავს სექტორის შერჩევის პოლიტიზირებას და არაკონკურენტული, დაცული ფირმების წარმოშობას. ასეთი დაცვის უგულებელყოფა ასევე შესაძლოა პრობლემური იყოს თუ ის ზრდის ძალაუფლების მქონე ინტერესს. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა უკეთესი იყო ამგვარი პოლიტიკის გატარების თავიდან არიდება.

თუ, მიუხედავად ასეთი რისკებისა, მთავრობა არჩევანს აქტიურ პოლიტიკაზე გააკეთებს, მან ორი პრინციპი უნდა გაითვალისწინოს:

უნდა არსებობდეს სანდო მოლოდინი, რომ ინვესტიცია მიაღწევს გრძელ ვადიან კომერციულ სიცოცხლისუნარიანობას. ის ინვესტიციები რომლებიც ამ გამოცდას ვერ გაივლიან დამატების ნაცვლად გაანადგურებენ ღირებულებას და ამოაშრობენ საჯარო სახსრებს.

მთავრობის მხარდაჭერა დაკავშირებული უნდა იყოს წარმატებასთან, არა წარუმატებლობასთან. მთავრობამ თავიდან უნდა აირიდოს დაუსრულებელი მხარდაჭერის პაკეტები. დახმარება უნდა მოიცავდეს შეწყვეტის სანდო კრიტერიუმს განგრძობადი არადადამაკმაყოფილებელი შესრულების შემთხვევაში. დაინტერესებული მხარის მიერ ლობირება ხშირად აფერხებს გონივრულ შეწყვეტას. შესაბამისად, მთავრობამ გადაწყვეტილება მაღალ დონეზე უნდა მიიღოს, საზოგადოების ფართო ნაწილთან

კონსულტაციის შედეგად. აღნიშნული მოიცავს მომხმარებლებს, გადასახადის გადამხდელებსა და ბიზნეს ინტერესებს.

გადანყვიტოს გამოიყენოს თუ არა ადგილობრივი წარმოების რეგულაციები

მოპოვებითმა ინდუსტრიებმა შესაძლოა წარმოადგინონ ეკონომიკური ზრდის იმპულსი ადგილობრივ საქონელზე და მომსახურებებზე მოთხოვნის გაზრდით, ასევე საერთაშორისო ბიზნეს ცოდნის გადაცემით. მთავრობამ უნდა დაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ქმნის ზოგადად ბიზნესებისათვის ხელშემწყობ გარემოს და კერძო სექტორს ეხმარება ინდუსტრიის მასშტაბით სამუშაო ძალის ხარისხის გაზრდაში.

როდესაც ზოგადი პოლიტიკური კურსის გატარება საკმარისი არ არის, მთავრობამ შესაძლებელია, გაითვალისწინოს მოპოვებითი ინდუსტრიის კომპანიების წარმოებაში ადგილობრივი ნაწარმის ოდენობის თაობაზე სპეციალური რეგულაციების ამოქმედება. მაგალითად, მთავრობებმა შესაძლოა საერთაშორისო კომპანიებს მოთხოვონ კონცესიონერებისთვის მომსახურების მიწოდება ან ადგილობრივი წყაროს პაკეტის განვითარება და ცოდნის გადაცემა, როგორც მათი სატენდერო კონცესიის შეთავაზების ნაწილი; ან მთავრობას შეუძლია ამგვარი პაკეტი გააუღეროს მინიჭების შემდგომი მოლაპარაკებების ეტაპზე. მთავრობას შესაძლებელია სურდეს ადგილობრივი მიმწოდებლების დაცვა გლობალური კონკურენციისგან როდესაც ისინი საკმარისად კონკურენტუნარიანები არ არიან მოპოვებითი ინდუსტრიის მოსამარაგებლად. თუმცა, ასეთი ზომები დროებით ხასიათს უნდა ატარებდნენ და დაკავშირებული უნდა იყვნენ ადგილობრივ მომწოდებლებზე გათვლილ გეგმასთან, რათა მათ საბოლოოდ შეძლონ თანასწორ დონეზე კონკურენციის განევა.

მთავრობას ასევე შესაძლოა სურდეს ხელი შეუწყოს მოპოვებითი ინდუსტრიის კომპანიებისგან და მათი საერთაშორისო მომწოდებლებისგან ტექნოლოგიისა და უნარ-ჩვევების გადაცემას. სატრენინგო დაწესებულებებში და კვლევებსა და განვითარებაში ინვესტიციამ, სხვა სქემებთან ერთად, შესაძლოა გაზარდოს ადგილობრივი ბიზნესის უნარი პასუხობდეს კომპანიის მოთხოვნებს. ასეთმა სქემებმა შესაძლოა არსობრივად იხეირონ მოპოვებით კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობით. მთავრობამ ასევე შესაძლებელია მმართველისა და დასაქმებულის დონეზე ადგილობრივი კადრის დასაქმების მოთხოვნა აამოქმედოს და აღნიშნული მოთხოვნა გააძლიეროს დაკვირვებისა და ანგარიშგების სიტემით, ასევე, ჯარიმებისა და შეღავათების დანესებით.

თუმცა, აღნიშნულმა ადგილობრივ პროდუქციასთან დაკავშირებულმა პოლიტიკამ ნაკლებად სავარაუდოა, შეძლოს ბიზნესისა და დასაქმებული პირებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის პოლიტიკის ჩანაცვლება. ამიტომ მათი დანერგვა უნდა მოხდეს ზოგად ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად. გარდა ამისა, ამონურვად აქტივებზე დაფუძნებული ადგილობრივი ინდუსტრიის გრძელვადიანი მდგრადი მომავალი დამოკიდებულია წიაღისეულის განგრძობად აღმოჩენაზე ან ადგილობრივი კომპანიის საბოლოო უნარზე კონკურენტუნარიანი იყოს უცხოურ ბაზარზე. მთავრობას გააზრებული უნდა ქონდეს ეს რისკი. მთავრობამ, მოპოვებით ინდუსტრიაში მონაწილეობის მიღების ან ამ ინდუსტრიის მომარაგების წახალისების პარალელურად, ასევე, თავიდანვე მხარი უნდა დაუჭიროს ეკონომიკის მრავალფეროვნებას. ამ

კონტექსტში მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს თუ რა ტიპის ადგილობრივი უნარები განვითარდება “მოპოვებითი გამოცდილებით”. ამის განსაზღვრის შემდგომ მთავრობა შეძლებს ყურადღება გაამახვილოს იმ უნარებზე რომლის გადაცემაც შესაძლებელი იქნება სხვა უფრო მდგრადი სექტორებისთვის.

გადანყვიტეთ ნაახალისებთ თუ არა დაღმავალი დინების (“Downstream”) ოპერაციებს

წიალისეულით მდიდარმა ქვეყნებმა უნდა შეაფასონ დაღმავალი დინების საქმიანობის შესაძლებლობები. ასეთი მაგალითად შეიძლება იყოს ნავთობის შევსება. ქვეყანა შესაძლოა დადგეს საარსებო პირობებისა და ეკონომიკური საქმიანობისთვის უმნიშვნელოვანესი ენერჯისა და რესურსების გადაუდებელი დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების წინაშე. ამ დროს მოპოვებულ წიალისეულს შესაძლოა გააჩნდეს იმის შესაძლებლობა, რომ დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები და მხარი დაუჭიროს ეკონომიკურ განვითარებას. ზოგჯერ მთავრობები წიალისეულის ადგილობრივ გადამამუშავებას პრიორიტეტულ ინვესტიციად განიხილავენ.

მთავრობის მიერ ადგილობრივი მონაწილეობის ნაახალისება დაღმავალი ნაკადის ინდუსტრიებში პრაქტიკულად დამოკიდებულია უცხოურ გადამამუშავებელ ქარხანაში და ქარხნიდან ტრანსპორტირების შედეგად მიღებული ნებისმიერი დანაზოგისა და სხვა პოტენციური სიკეთის შეფასებაზე, რომელიც უნდა დაედაროს ადგილობრივი დაღმავალი ნაკადის ინდუსტრიის სახელმწიფო მხარდაჭერის პოტენციურ უარყოფით მხარეებს. აღნიშნული მოიცავს საჯარო სახსრების მაღალი კაპიტალური შემცველობის ინტენსიური გადამამუშავებელი ქარხნებისთვის გამოყენებას; იმპორტირებულ უნარებსა და მოწყობილობაზე დამოკიდებულებას; და სხვა ინდუსტრიებთან შედარებით პოტენციურად შეზღუდული ოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას.

დიდი ოდენობით საქონლისათვის, ან საქონელზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დაღმავალი ნაკადის ინდუსტრიის განვითარებისთვის ძლიერი პირობები არსებობს. ბუნებრივი აირი განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ენერჯის გამოამუშავებასთან კავშირის გამო, რაც ეკონომიკური განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. აირს როგორც წესი მაღალი სატრანსპორტო ხარჯი აქვს და შესაბამისად გააჩნია იმის პოტენციალი, რომ კონკურენტუნარიანი მიმწოდებელი იყოს ადგილობრივი ენერჯის გენერატორებისთვის. აირზე მომუშავე გენერატორები, მისი ალტერნატივებისგან განსხვავებით, როგორებიცაა ნავთობი, ქვანახშირი და ბირთვული წიალისეული, ისევე როგორც ჰიდროენერგეტიკა და სხვა განახლებადი ენერჯია, დაბალი კაპიტალური ინტენსივობით გამოირჩევა. აირის გამოყენებამ ასევე შესაძლოა, ხელი შეუწყოს დაბალ ნახშირბადოვან ენერგეტიკულ ტექნოლოგიებზე გადართვას. გარდა ამისა, ადგილობრივი ბაზრის მკვებავი სისტემა უზრუნველყოფს ნავთობის მოპოვების შედეგად მიღებული ზედმეტი აირის გამოყენებას უსაფრთხოდ, ეფექტურად და ეკოლოგიურად ჯანსაღი წესით.

ნიაღისეულის მართვის საერთაშორისო ფონდები

XI პრინციპი - კომპანიებმა უნდა იკისრონ გარემოს დაცვითი, სოციალური და ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს სტანდარტებთან და მდგრადი განვითარების მოთხოვნებთან შესაბამისობის ვალდებულება

მოპოვებითი ინდუსტრიის პროექტებში კერძო სექტორის კომპანიებმა უნდა გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა გასცდნენ მინიმალურ სამართლებრივ მოთხოვნებს და პატივი სცენ **გარემოს** დაცვის, სოციალურ და ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს სტანდარტებს; თავიდან აირიდონ კორუფცია, წვლილი შეიტანონ მდგრადი განვითარების შედეგებში; და საჯარო და ხელმისაწვდომი გახადონ ინფორმაცია შესაბამის პროექტებთან დაკავშირებით.

კომპანიებმა უნდა იკისრონ ვალდებულება, რომ შეაჩერონ, შეამცირონ და აღადგინონ ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც მათი ქმედებების შედეგად მიადგა გარემოს, მოსახლეობას და ადამიანის უფლებებს. მათ ასევე უნდა მოთხოვონ პარტნიორებს, კონტრაქტორებსა და ქვე-კონტრაქტორებს იკისრონ იმავე ტიპის ვალდებულებები. აღნიშნული მოიცავს პროექტის პოტენციურ ადგილობრივ და რეგიონალურ ზეგავლენას, მათ შორის სხვადასხვა რასის, ეთნოსის, გენდერის, ასაკის და სხვა მახასიათებლების მქონე ხალხის მიერ განცდილ უნიკალურ ზეგავლენას. მთავრობებმა და კომპანიებმა განსაკუთრებით სრულად უნდა გაითვალისწინონ აბორიგენი მოსახლეობის უფლებები. როდესაც კანონით საჭიროა უფასო, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობის მიღება მოპოვებისთვის, კომპანიებმა აღნიშნული თანხმობა უნდა მოიპოვონ აბორიგენ მინებზე სამუშაოების დაწყებამდე. მათ შემდგომშიც აბორიგენ უნდა მიიღონ მონაწილეობა და კონსულტაციები ჩაატარონ ადგილობრივ მოსახლეობასთან რომელზეც მოპოვებითა სამუშაოებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიონ. კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ ამ ვალდებულებებისთვის საჭირო სახსრების ხელმისაწვდომობა პროექტის სრული ვადის განმავლობაში. მათ ასევე წინასწარ უნდა დაგეგმონ დაბალი შემოსავლის პერიოდები, ასევე ისეთი პერიოდები როდესაც მოპოვებითი პროექტის დახურვის მიზეზით საერთოდ ვერ ხერხდება შემოსავლის მიღება.

კორუფციული პრაქტიკისაგან თავის შეკავება

გლობალურმა კომპანიებმა უნდა იმოქმედონ ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ნორმების შესაბამისად, რომლებიც მთავრობის მაღალჩინოსნების მოქრთამვას კრიმინალად აკვალიფიცირებს. კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ნათელი შიდა პოლიტიკა კორუფციასთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს პროცედურებს და აკონტროლებს თანამშრომლების, კონტრაქტორების, ქვე-კონტრაქტორებისა და მათი აგენტების მიერ კორუფციული პრაქტიკის შეჩერებასა და დასჯას (ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით იხილეთ მე-2 პრინციპი).

მდგრადი განვითარების შედეგების მიღებაში წვლილის შეტანა

კომპანიებმა მხარი უნდა დაუჭირონ მასპინძელი ქვეყნის ძალისხმევას მაქსიმალურად გაზარდოს მოპოვებითი საქმიანობით მიღებული პოტენციური სარგებელი. მაგალითისთვის, თუ

ადგილობრივი წარმოების განვითარება ქვეყანაში ადეკვატურია, მთავრობებმა შესაძლოა ითანამშრომლონ კომპანიებთან, რათა თავიდან აირიდონ გრძელვადიანი ვალდებულებები, რომლებიც საჭიროა ადგილობრივ ინდუსტრიაში ინვესტირების წასახალისებლად. კომპანიასთან თანამშრომლობა ასევე შესაძლოა განხორციელდეს ტრენინგებისა და თანამშრომლების მხრიდან ინიციატივების გამოჩენის ფორმით, რაც მიმართული იქნება ადგილობრივი მიმწოდებლების ხარისხის ზრდისკენ. ასეთი თანამშრომლობები მნიშვნელოვანია უთანხმოების შესამცირებლად და უნარიანობის გასაზრდელად (ადგილობრივი წარმოებით ეკონომიკის განვითარების თაობაზე იხილეთ მე-10 პრინციპი).

თუ კომპანიები აწარმოებენ და აწვდიან დამხმარე საქონელს ან მომსახურებას, როგორებიცაა სარკინიგზო ან საგზაო ინფრასტრუქტურა, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება მოპოვებით საქმიანობას ან არ ამცირებს მის უარყოფით გავლენას, მათ აღნიშნული საქმიანობა უნდა განახორციელონ მოპოვებითი პროექტის საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობაში. ასევე უნდა უზრუნველყონ ამგვარი საქონლისა და მომსახურების შენარჩუნება ან პასუხისმგებლიანი გადაბარება პროექტის დასრულების შემდგომ.

რაც შეეხება სახელშეკრულებო სტაბილურობას, მთავრობის მიერ კომპანიების მისამართით გაცემული დაპირებები უნდა შემოიფარგლებოდეს არადისკრიმინაციული მოპყრობის მუხლით. კომპანიებმა არ უნდა მოითხოვონ, არ უნდა ელოდონ ან დათანხმდნენ ისეთ პირობებს, რომლებიც მათ ათავისუფლებთ ადამიანის უფლებებთან, გარემოს კონტროლთან, ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და შრომასთან დაკავშირებული ვალდებულებებისგან; ან რომლებიც ითვალისწინებენ კომპენსაციას ჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით ნორმატიული ან მარეგულირებელი ჩარჩოს შეცვლის შემთხვევაში.

წარმოადგინეთ შესაბამისი საპროექტო ინფორმაცია

კომპანიებმა მხარი უნდა დაუჭირონ და დაემორჩილონ საჯაროობის მოთხოვნებს. აღნიშნული მოიცავს მთავრობასა და კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებებს, რომლებიც ნათლად და მარტივად გასაგები ფორმით უნდა ასახავდნენ ფინანსურ პირობებს. ერთადერთ გამართლებულ გამონაკლისს დროით განსაზღვრულ კონფიდენციალობასთან მიმართებით ბიზნესის საკუთრებასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს, რომელიც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ერთ-ერთი მხარის პოზიციაზე კონკურენტულ ან მყისიერ მოლაპარაკებებში. კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ ხალხზე, საერთაშორისოდ დაცულ ადამიანის უფლებებზე ან გარემოზე უარყოფითი გავლენის თაობაზე ნებისმიერი მოხსენების მზაობა და ხელმისაწვდომობა, რაც ასევე მოიცავს შესაბამისი შეფასებების მონაცემებს და შეჩერების, შემცირებისა და აღდგენის გეგმებს. მთავრობებმა და კომპანიებმა ერთად უნდა იმუშაონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინფორმაცია იყოს დროულად ხელმისაწვდომი და მარტივად გამოსაყენებელი (გამჭვირვალებასთან დაკავშირებით, იხილეთ მე-2 პრინციპი).

XII პრინციპი - მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა წაახალისონ მდგრადი განვითარებისათვის საჭირო სტანდარტების აღმავალი პარმონიზაცია

მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც აფინანსებენ ან ზემოქმედებენ პოლიტიკაზე რომელიც გავლენას ახდენს მოპოვებით ინდუსტრიაზე, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წიაღისეულით მდიდარი ქვეყნების მთავრობების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მხარდაჭერის კუთხით. გარდა იმ ქვეყნების ეროვნული მარეგულირებლებისა, სადაც მომპოვებელი კომპანიები არიან დასახლებულნი, ასეთი საერთაშორისო ორგანიზაციები მოიცავენ, თუმცა არ შემოიფარგლებიან: მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (და მათი შესაბამისი გამსესხებელი სააგენტოები); დახმარების დონორი მთავრობები; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია; გაეროს სააგენტოები; ექსპორტის საკრედიტო სააგენტოები; ისეთი ორგანიზაციები როგორებიცაა აფრიკის კავშირი, ევროკავშირი, G8 და G20; და გლობალური ფინანსების საზოგადოება. საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება ასევე თამაშობს მნიშვნელოვან როლს ამ აქტორებზე წნეხის შესანარჩუნებლად, რათა გააუმჯობესოს მათი პოლიტიკა. ეს როლი ასევე მოიცავს სახელმწიფოებისა და კომპანიების მონიტორინგს (საჯაროობის მოთხოვნებთან დაკავშირებით იხილეთ მე-2 პრინციპი).

ქვემოთ ჩამოთვლილია მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებშიც საერთაშორისო საზოგადოებას შეუძლია მსოფლიოს მასშტაბით გაზარდოს წიაღისეულის მოპოვების მართვა.

მოპოვებითი ინდუსტრიის საჯაროობის მოთხოვნების ხელშეწყობა, მონიტორინგი და აღსრულება

მთავრობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა აქტორებს შეუძლიათ გააუმჯობესონ გამჭვირვალობა და აღასრულონ საერთაშორისო სტანდარტების კომპლექტი ფინანსური და ბუღალტრული ჩანაწერებისთვის, ასევე სახელშეკრულებო პირობების გასაჯაროებით. ინფორმაციის გასაჯაროება პროექტის მთელი ვადის განმავლობაში, დაწყებული მოკვლევითი ლიცენზიით და დასრულებული პროექტის დასუფთავებით, მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს მოქალაქეებისა და ინვესტორების დასახმარებლად, რათა მათ შეძლონ მთავრობებისა და კომპანიების პასუხისმგებლობის დაყენება. გლობალური სავალდებულო ანგარიშგების მოთხოვნის დაკანონების გარდა, ამ ორგანიზაციებმა მხარი უნდა დაუჭირონ მოპოვებითი ინდუსტრიის გამჭვირვალობის ინიციატივის დანერგვას წიაღისეულით მდიდარ ქვეყნებში. აღნიშნული წარმოადგენს დამატებით, ნებაყოფლობით სტანდარტს, რომელიც ხელს უწყობს დაინტერესებულ პირებს შორის დიალოგს ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე.

მოპოვებითი ინდუსტრიის პროექტების საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

მთავრობებმა ცხადად უნდა შექმნან იმის მოლოდინი, რომ მათ იურისდიქციაში ყველა კომპანიამ პატივი უნდა სცეს ადამიანის უფლებებს - რაც სულ მცირე მოიცავს ადამიანის

უფლებათა საერთაშორისო ბილში და სამუშაო ადგილას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნდამენტური პრინციპებსა და უფლებებში წარმოდგენილ უფლებებს.

“გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებებისთვის” -UNGP-ის შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ და მხარი დაუჭირონ მასპინძელი ქვეყნების მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულებების შესრულებას. ასევე, მათ ვალდებულებას უზრუნველყონ კომპანიის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულება მოპოვებითი ინდუსტრიის პროექტების კონტექსტში.

აქტორებმა, რომლებიც მოპოვებით ინდუსტრიას მხარს უჭერენ ფინანსურად ან გარანტიების მეშვეობით, უნდა მოითხოვონ UNGP-თან შესაბამისობაში არსებული შემომწმების პროცედურები, რათა თავიდან იქნას აცილებული ადამიანის უფლებათა პოტენციური და რეალური დარღვევა, რაც შესაძლოა მოპოვებითი ინდუსტრიის პროექტებმა გამოიწვიოს. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გენდერის, რასის, ასაკისა და სხვა ფაქტორებით განსაზღვრულ დიფერენციალურ შედეგებს.

მოპოვებითი პროექტების გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

მოპოვებითმა ინდუსტრიებმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ როგორც ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტებზე ისევე ადგილობრივ და გლობალურ გარემოზე. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაადგინონ, ხელი შეუწყონ, წახალისონ ან მოითხოვონ შესაფერისი პროექტი, რომელიც ამგვარ ეფექტებს შეამცირებს და მოიცავს ზეგავლენის შეფასებას. ექსპორტის საკრედიტო სააგენტოებს, ისევე როგორც საჯარო და კერძო გამსესხებლებს უნდა მოეთხოვებოდეთ პროექტის გულდასმითი შესწავლა/შემომწმება, ისევე როგორც მონიტორინგი და საერთაშორისო გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე მოხსენების წარდგენა. ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის გაერო და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, აღიარებს აბორიგენი მოსახლეობის განსაკუთრებულ უფლებებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს (სოციალურ და გარემოსდაცვით პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით იხილეთ მე-5 პრინციპი).

უკანონო ფინანსური ნაკადისა და კორუფციის შემცირება

საერთაშორისო ორგანიზაციებმა მეტი უნდა გააკეთონ უკანონო ფინანსური გარიგებებისა და შემცირებული გადარიცხვების-დაფასოების ბოროტად გამოყენების, საგადასახადო სამოთხეებისა და გადასახადებისგან თავის არიდების და გვერდის ავლის ტექნიკების შესამცირებლად. აღნიშნული ზომები მოიცავენ საბანკო რეგულაციებსა და ყველა საბანკო და ფასიანი ქაღალდების აღრიცხვაში საკუთრების უფლების დადასტურებას. იმ ქვეყნებში სადაც დიდი წიაღისეული შემთხვევით აღმოაჩინეს, აქტივების ძარცვა ძალიან გავრცელებულია. საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა მოითხოვონ და ხელი შეუწყონ მოპარული აქტივების გაყინვას ან აღდგენას როდესაც უკანონო ქმედების იდენტიფიცირება ხდება. ამგვარი პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთაშორისო ორგანიზაციებმა ასევე უნდა

ბუნებრივი რესურსების ქარტია

ითანამშრომლონ რათა შეამცირონ კორუფცია და მოქრთამვა, უზრუნველყონ ძლიერი კანონმდებლობა და აღსრულების მექანიზმები (საგადასახადო დარღვევების თაობაზე იხილეთ მე-4 პრინციპი, ხოლო შემოსავლების ნაკადთან დაკავშირებით იხილეთ მე-7 პრინციპი).

მოპოვების ინდუსტრიის უნარების გაცვლისა და გაფართოების მხარდაჭერა

ბევრ წიაღისეულით მდიდარ განვითარებად ქვეყანას ჯერ კიდევ მოსაპოვებელი აქვს წიაღისეული სიმდიდრის მდგრად და ინკლუზიურ განვითარებად გარდაქმნის უნარი. საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ აღნიშნულ ქვეყნებში მთავრობის, კანონმდებლისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ ამ უნარების შენების კუთხით. საჭიროა ერთობლივი და შეთანხმებული ძალისხმევის განწევა ეფექტურობის მაქსიმალურად გასაძლიერებლად. ნორმატიული ფარგლები, როგორცაა ბუნებრივი წიაღისეულის ქარტია და აფრიკის სამთო ხედვა, ეხმარება სხვადასხვა პირებს წიაღისეულის მართვისთვის საჭირო მიდგომების კოორდინაციასა და ჰარმონიზაციაში.

მთავრობებმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ, რათა ყველა იდენტიფიცირებულ სფეროში აამაღლონ ჰარმონიზაციის სტანდარტი.